ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში

სპეციალური ანგარიში

2015

Enhancing Gender Equality in Georgia

საქართველოს სახალხო დამცველი

ISBN – 978-9941-0-8244-3

წინასიტყვაობა

შემაშფოთებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები. პრობლემის სიმძაფრე მთელი სიცხადით შევიგრძენით 2014 წელს, როდესაც ოჯახში ძალადობის შედეგად 17 ქალი იქნა მოკლული. ხშირად ისმის არგუმენტი, რომ რთულია ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება, რადგან იგი ჩაკეტილ სოციალურ წრეში ხდება. თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობა დიდი ხანია გასცდა ჩაკეტილ სივრცეს.

საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებასთან ერთად, მთავარ გამოწვევას დაცვისა და დახმარების ღონისძიებების არაეფექტური გამოყენება წარმოადგენს. ხშირად, ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასაცავად არ ხდება იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული და შესაბამისად, მათი თხოვნა დახმარების თაობაზე უგულებელყოფილი რჩება.

მისასალმებელია, რომ 2014 წელს დაიხვეწა ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული კანონმდებლობა, ხელი მოეწერა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას. შემუშავდა ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია, რომელმაც ძალადობის განხორციელების სხვადასხვა სფეროები დაფარა, თუმცა საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნებოდა ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის სტრატეგიის როგორც ცალკეული დოკუმენტის შემუშავება.

წინამდებარე სპეციალური ანგარიში წარმოადგენს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2014 წელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სახელმწიფო სერვისებისა და მექანიზმების შესაფასებლად ჩატარებული მონიტორინგისა და შესწავლის შედეგებს. აქვე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი გაეროს ქალთა ორგანიზაციას გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერებისთვის (UN Women), რომლის მხარდაჭერითაც გახდა შესაძლებელი აღნიშნული სამუშაოს გაწევა და კვლევის გამოცემა. იმედს ვიტოვებთ, რომ მისი შინაარსი საინტერესო იქნება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც სერვისის მიწოდებას ახორციელებს.

უჩა ნანუაშვილი
საქართველოს სახალხო დამცველი

სარჩევი

შესავალი 4

სახელმწიფო სერვისების მონიტორინგი 7

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები 7
თავშესაფრებში ბენეფიციართა მიღება–გადინება 8
თავშესაფრის პერსონალი 12
ბენეფიციართა საჭიროებები 14
თავშესაფრის წესები 21
თავშესაფარში მცხოვრები ბავშვები 24
თავშესაფარში მცხოვრებ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა 27
საყოფაცხოვრებო პირობები 27
რეკომენდაციები 29
ცხელი ხაზის სერვისი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის 30
რეკომენდაციები 31

ქალთა მკვლელობების (ფემიციდი) მონიტორინგი 32

ოჯახში ძალადობის შედეგად ჩადენილი თვითმკვლელობები 40

რეკომენდაციები 41

ოჯახში ძალადობისაგან დამცავი მექანიზმების შეფასება 42

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი 42
დამცავი მექანიზმების კვლევის შედეგები 47
ოჯახში ძალადობის შემთხვევათა იდენტიფიცირება 47
ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირება 49
საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი 51
მსხვერპლის პასიური მდგომარება 52
პრევენციის ღონისძიებების განხორციელება 54
დასკვნა 55
რეკომენდაციები 56

შესავალი

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის შეშფოთების საგნადაც იქცა. კერძოდ, 2014 წელს 58-ე სესიაზე საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული ანგარიშების განხილვის შედეგად, კომიტეტმა საქართველოს მთავრობას ქმრებისა და პარტნიორების მიერ ქალთა მკვლელობების მზარდი ფაქტებისა და ოჯახში ძალადობის სხვა ფორმების აღსაკვეთად, სასწრაფო ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს, შსს სსიპ „112"–ის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში ოჯახში ძალადობის/ კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებების რაოდენობა 9 290–ს[1] შეადგენს. თუმცა, აღნიშნული მონაცემები მხოლოდ პირველად ინფორმაციას წარმოადგენს, ხოლო ასეთ შეტყობინებებზე უფლებამოსილი სამსახურების რეაგირების შედეგად შემთხვევის ადგილზე არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ამუშავებს.

რაც შეეხება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების სტატისტიკას, საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სსკ 126[1] მუხლით – ოჯახში ძალადობა – სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ, ხოლო სსკ 11[-1]–126[1] მუხლების მიხედვით – 333 პირის მიმართ. სულ რეგისტრირებულია 495 ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი[2]; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სსკ 11[1]–126[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის გამოძიება დაიწყო 480 საქმეზე, ხოლო სსკ 126[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 44 საქმეზე, აღნიშნული მუხლებით დევნა დაიწყო 479 მამაკაცისა (აქედან ერთი არასრულწლოვანი) და 37 ქალის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნეს 525 ქალი, მათ შორის 32 არასრულწლოვანი, 135 მამაკაცი, მათ შორის 18 არასრულწლოვანი[3].

1 მონაცემები მოიცავს 2014 წლის დეკემბერი – ოქტომბრის მონაცემებს/ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო / #2376761 ; 24/11/2014

2 საქართველოს მთავარი პროკურატურა; #13/79703 / 23.12.2014

3 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; #541888/ 12.03.2015

ოჯახში ძალადობის მაჩვენებლები 2014 წელი



გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისათვის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად აუცილებელია, როგორც პოლიტიკის შეცვლა, ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით მუშაობა და მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება, რათა მათ საკუთარი უფლებების უკეთესად დაცვა შეძლონ. ცხრილში მოცემული მაჩვენებლები[4] ცხადყოფს, რომ ეს რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება.

სამწუხაროდ, არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ ღიად რჩება სოციალურ მუშაკთა როლი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისათვის. პრობლემის არსიდან გამომდინარე კი სამართალდამცავ უწყებათა ჩართულობა ყოველთვის არაა საკმარისი და საჭიროებს სპეციალისტთა დახმარებას. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სოციალურ მუშაკთა პასუხისმგებლობის ძალაში შესვლის თარიღად 2015 წლის 1 სექტემბერი განისაზღვრა. თუმცა, რესურსების სიმცირიდან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არ გეგმავს ძალადობის საკითხებზე სპეციალიზებული სოციალური მუშაკების დამატებას. იგეგმება უკვე არსებული რესურსების გადამზადება ოჯახში ძალადობის საკითხებზე და რამდენიმე ათეული პირის დამატება. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ მუშაკთა არსებული ვალდებულებებისა და საკითხების სპექტრი ძალიან ფართოა, მათი რაოდენობა და რესურსები კი მცირე. შესაბამისად, დამატებითი გაძლიერების გარეშე ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მათი მუშაობა მაღალი ალბათობით არაეფექტური იქნება.

აღსანიშნავია ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით განხორციელებული აქტივობები. მათ შო-

4 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; #541888/ 12.03.2015; #564071 / 16.03/2015; საქართველოს მთავარი პროკურატურა; #13/79703 / 23.12.2014

რის, შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებისმინიჭებატერიტორიულიორგანოს ინსპექტორ-გამომძიებლებისათვის (რაც უფრო მოქნილს გახდის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებებს), პოლიციელთა გადამზადება, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება, საინფორმაციო კლიპის მომზადება და განთავსება მედიასივრცეში, საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდებთან და სხვა. თუმცა, კვლავ რჩება საკითხები, რაც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას და უწყებათაშორის აქტიურ კოორდინაციას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალიან ზუსტი ინსტრუქცია, თუ რა ღონისძიებებს უნდა მიმართოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირების დროს, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენციები, რომელიც კანონით გათვალისწინებული მოქმედებების არაჯეროვან შესრულებაზე მიგვანიშნებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი რიგი შემთხვევებიდან დგინდება, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების დროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ხელწერილს იყენებდენ, რასაც საერთოდ არ ითვალისწინებს ძალადობისგან დასაცავად არსებული სამართლებრივი მექანიზმები. შესწავლილმა შემთხვევებმა აჩვენა, რომ ხელწერილი სრულიად არაეფექტური საშუალებაა და ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლის რეალურ დაცვას, რადგან არ აქვს თანმდევი სამართლებრივი შედეგები, ამასთანავე, ის ვერ უზრუნველყოფს განმეორებითი ძალადობის პრევენციას, ან მოძალადის პასუხიმგებლობის დაყენებას.

აღნიშნული პრობლემების შესწავლისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებისათვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2014 წელს განახორციელა ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სახელმწიფო სერვისების: თავშესაფრისა და ცხელი ხაზის მონიტორინგი, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ინდივიდუალური განცხადებების შესწავლა, დამცავი და შემაკავებელი ორდერების შეფასება და ქალთა მკვლელობების მონიტორინგი.

სახელმწიფო სერვისების მონიტორინგი

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებისა და სახელმწიფო ცხელი ხაზის მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგი მიზნად ისახავდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ სამ თავშესაფარში არსებული მდგომარეობის შეფასებას და სერვისით მოსარგებლე პირების საჭიროებების გამოვლენას. ასევე ცხელი ხაზის ფუნქციონირების შეფასებას.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო თავშესაფრების შექმნა წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს და ხელს უწყობს ოჯახში ძალადობისგან დაცვის მექანიზმებს. ძალადობის მსხვერპლთა უკეთ დაცვის შესაძლებლობას წარმოშობს და ძალადობრივი გარემოდან თავის დასაღწევად ალტერნატიულ გზას სთავაზობს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო თავშესაფრებში მონიტორინგი პირველად ჩატარდა და მრავალი საინტერესო ასპექტიც გამოვლინდა. შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადდა სპეციალური რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სერვისის მიმწოდებლებს შესაძლებლობას მისცემს გააუმჯობესონ და დახვეწონ მომსახურება სერვისით მოსარგებლეთათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი და საჭიროებებზე მორგებული გარემოს შესაქმნელად.

კვლევის მეთოდოლოგია

მონიტორინგის მთავარ სამიზნე ჯგუფად თავშესაფრის ბენეფიციარები განისაზღვრა და მომსახურების ხარისხის შეფასებაც მათი გამოკითხვის შედეგებს დაეყრდნო. მონიტორინგის დროს ასევე შემოწმებულ იქნა თავშესაფარში მშობელთან ერთად მოთავსებული ბავშვების მდგომარეობა და შეფასდა მათი საჭიროებები.

თავშესაფრის ბენეფიციართა გამოსაკითხად გამოყენებულ იქნა ნახევრად დახურული ტიპის კითხვარები[5], რამაც კითხვებზე პასუხის გაცემა გაამარტივა. ამასთან მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ შეკითხვებს უარყოფითი შეგრძნებების გამომწვევი და კრიტიკული ხასიათი არ ჰქონოდა. დახურულმა კითხვებმა მოკლე დროში მოცულობითი ინფორმაციის მოგროვების შესაძლებლობა მოგვცა და ძალადობის მსხვერპლთათვის დამატებითი ტრავმების რისკი შეამცირა. თითოეული კითხვის ან თეზისის ქვეშ მოცემული იყო სავარაუდო პასუხების გრძელი ჩამონათვალი, რომელიც საშუალოდ 25 ვარიანტს მოიცავდა და შეძლებისდაგვარად ამომწურავი პასუხების შეგროვებას უწყობდა ხელს.

მონიტორინგის პროცესში გამოყენებულ იქნა ორი ტიპის კითხვარი. A კითხვარი

5 კვლევასა და კითხვარებში გამოყენებულია აშშ–ს 2008 წლის თავშესაფრების შეფასების მეთოდოლოგია – Meeting Survivors' Needs: A Multi-State Study of Domestic Violence Shelter Experiences, Final Report/ 2008/

მოიცავდა შეკითხვებს მოლოდინების შესახებ, რომლებიც თავშესაფრის მოთავსებიდან პირველ პერიოდში აქვთ ბენეფიციარებს. შესაბამისად, გამოკითხულ იქნენ ის ადამიანები, რომელთა თავშესაფარში მოთავსების დრო არ აღემატებოდა ორ კვირას. ასეთმა გამოკითხვამ ნათელი გახადა, თუ რა მოლოდინები და პირველადი შეფასება აქვთ თავშესაფარში მოთავსების დროისთვის პირებს, რა ტიპის სერვისი სურთ რომ მიიღონ. B კითხვარი კი განკუთვნილი იყო იმ ბენეფიციართათვის, რომლებიც ერთ თვეზე მეტი დროით სარგებლობენ თავშესაფრის მომსახურებით, ან უკვე ისარგებლეს უახლოეს წარსულში და მოცემული მომენტისთვის აღარ საჭიროებდნენ აღნიშნულ მომსახურებას. ამ კითხვარით შეფასდა მათი გამოცდილება, თუ რამდენად გამართლდა მოლოდინები და რა დამატებითი საჭიროებები იჩენენ თავს, როდესაც პირველადი დახმარება უზრუნველყოფილია.

მონიტორინგი ჩატარდა სამ სახელმწიფო თავშესაფარში: თბილისში, გორსა და ქუთაისში. გამოკითხულ იქნა ყველა, იმ დროისათვის თავშესაფარში განთავსებული სრულწლოვანი პირი. თავშესაფრის ადმინისტრაციისგან ზოგადი ინფორმაციის მისაღებად შედგენილ იქნა სპეციალური გამოკითხვის ფურცელი. გასაუბრებამ გამოკვეთა ის ხარვეზები თუ დადებითი ასპექტები, რომელიც მართვის პროცესში შეიძლება იჩენდეს თავს. ასევე, მოხდა საცხოვრებლის ვიზუალური დათვალიერება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობა.

მონაცემების სრულყოფილად მოპოვების მიზნით, დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან, რომლის დაქვემდებარებულ სტრუქტურას წარმოადგენენ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები. ამასთან, არსებული ტენდენციების შესაფასებლად, ბოლო ორი წლის მიღება–გადინების სტატისტიკა მოვითხოვეთ.

მონიტორინგის მთავარ შეზღუდვას რესპოდენტთა საერთო რაოდენობის სიმცირე წარმოადგენდა, რაც რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისთვის არ არის მიზანშეწონილი. მიუხედავად ამისა, გამოკითხული იქნა სრული პოპულაცია (იმ დროისათვის თავშესაფრით მოსარგებლე 8 პირი), შესაბამისად შეიძლება ვისაუბროთ შედეგების წარმომადგენლობითობაზე. ასევე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა რესპონდენტი არ იყო ბოლომდე გახსნილი და არ ისურვა ინფორმაციის სრულყოფილად მოწოდება.

თავშესაფრებში ბენეფიციართა მიღება–გადინება

თავშესაფარში მიიღება ყველა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული, რომელსაც აქვს ასეთი საჭიროება. თავშესაფრების შინაგანაწესის თანახმად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ჩაითვლება ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, ანდა სასამართლო ორგანომ (იგულისხმება დამცავი ან შემაკავებელი ორდერი), ანდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა. ასევე, თავშესაფრების ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაზარალებულად ცნობის შედეგად, გორის თავშესაფარში, ორი პირი იქნა მოთავსებული.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ყველაზე ხშირად მომსახურებით 24–დან 34 წლამდე პირები სარგებლობენ – 75%. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 5 ნოემბრის მონაცემებით, თავშესაფრის მომსახურებით 12 ქალი სარგებლობდა (24–44 წლამდე – 9 და 45–ზე მეტი – 3 ბენეფიციარი). ადმინისტრაციის ცნობით თავშესაფრებში ერთდროულად შესაძლოა განთავსდეს: გორში 18–20, ქუთაისში – 17, ხოლო თბილისში 7 პირი.

2013–2014 წლებისათვის ბენეფიციართა მიღება–გადინების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი №1

2013-2014 მიღება – გადინება	მიღება 2013	ამორიცხვა 2013	მიღება 2014	ამორიცხვა 2014
სრულწლოვანი მსხვერპლი	27	29	23	24
არასრულწლოვანი მსხვერპლი	2	2	2	2
დამოკიდებული პირი	38	43	32	24
სულ	67	74	57	50

ცხრილი N1 აჩვენებს, რომ 2014 წელს 38%[6] ნაკლებმა ადამიანმა ისარგებლა თავშესაფრით. ძნელია დაზუსტებით საუბარი, თუ რამ განაპირობა კლება, თუმცა ერთ–ერთ მიზეზად შესაძლოა განხილული იქნას 2014 წლის პირველი აპრილიდან მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მუშაობის შეჩერება. თუ დავაკვირდებით 2013–2014 წლის თავშესაფარში მსხვერპლთა მიღების სამართლებრივი საფუძვლების სტატისტიკას, ცხადია, რომ საგრძნობლად გაიზარდა (175%–ით) შემაკავებელი ორდერით განთავსებულთა რიცხვი, თუმცა შემცირდა მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა (53%–ით).

პირებს, რომლებიც ოჯახში ძალადობას განიცდიან, ძალიან უჭირთ დასახმარებლად მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს, რადგან შიშობენ, რომ მოძალადე კიდევ უფრო სასტიკი შეიძლება გახდეს. ამ პროცედურას, გარდა აღნიშნულისა, თან სხვა უხერხულობებიც ახლავს (საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება, გაკიცხვის შიში), რომელთა თავიდან აცილებასაც ისინი ცდილობენ. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი სტატუსის მოპოვების ალტერნატიული გზის არსებობა, რაც ამარტივებს მიმართვიანობის პროცედურას და საგრძნობლად ზრდის მას. გორის თავშესაფრის ადმინისტრაციამ შეგვატყობინა, რომ კრიზისული ცენტრის

6 მონაცემები აღებულია 2013–2014 წლის მონაცემების შედარებით ცხრილი #3–ის მიხედვით

მომსახურებით 11 თავშესაფრის საჭიროების მქონე ქალი სარგებლობდა, რომლებსაც არ სურდათ საპატრულო პოლიციის ჩარევა თავიანთი პრობლემების მოგვარების პროცესში და ვინაიდან, იმ პერიოდში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მუშაობა შეწყვეტილი იყო, მათთვის სტატუსის მინიჭების ალტერნატიული გზაც ვერ მოიძებნა.

ცხრილი №2

თავშესაფარში მოხვედრის სამართლებრივი საფუძველი	2013	2014	შედარებითი %
შემაკავებელი ორდერის საფუძველზე	4	11	175%
დამცავი ორდერის საფუძველზე	1	0	-100%
იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ	15	7	-53%
საპატრულო პოლიციის ოქმით	9	0	-100%
დაზარალებულად ცნობის საფუძველზე	0	0	0%

აღსანიშნავია საპატრულო პოლიციის გააქტიურება და მათი მხრიდან კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენება ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას. საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან 2013 წლის მონაცემებთან შედარებით, 2014 წელს 175%–ით გაიზარდა შემაკავებელი ორდერის საფუძველზე მსხვერპლთა თავშესაფარში გადაყვანის შემთხვევები, რაც კარგ ტენდენციაზე მიუთითებს, თუმცა ცხადია, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა რამდენიმე საქმე, სადაც საპატრულო პოლიციამ ძალადობის შემთხვევის არსებობისას, კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაცვლად, კვლავ ხელწერილი გამოიყენა. ამასთან, მონიტორინგის დროს თითქმის ყველა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ თავშესაფარში მოხვედრამდე რამდენჯერმე ჰქონდა მიმართული როგორც საპატრულო პოლიციისათვის, ასევე უბნის ინსპექტორისათვის და მათი მხრიდან მხარდაჭერა არ მიუღიათ, ხოლო შემაკავებელი ორდერი პირველივე გამოძახების დროს მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოიწერა. დანარჩენებმა ხაზი გაუსვეს, რომ ძირითადად დამცინავი დამოკიდებულება იგრძნობოდა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან, ერთ–ერთ მათგანს კი ისიც უთხრეს, რომ წასვლის შემთხვევაში მეუღლე ბავშვს წაართმევდა.

N2 ცხრილის თანახმად, 2014 წელს საპატრულო პოლიციის ოქმის საფუძველზე თავშესაფრებში მსხვერპლთა განთავსების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირდა, რამაც, სავარაუდოდ, ასევე მოახდინა ზეგავლენა შემაკავებელი ორდერების საფუძველზე განთავსებულ პირთა რაოდენობის ზრდაზე.

მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ 2014 წელს თავშესაფრებში ბენეფიციართა

რაოდენობის შემცირება მსხვერპლთა მაჩვენებლის კლებამ კი არ განაპირობა, არამედ პროცედურების მოუქნელობამ გამოიწვია. კომისიისა და სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის მუშაობის განახლების შემდეგ, ვიმედოვნებთ, რომ სერვისი შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა პირს კვლავ შეუფერხებლად მიეწოდება.

ფონდიდან ასევე გამოთხოვილი გვქონდა ინფორმაცია თავშესაფრის დატოვების საფუძვლისა და იმ გარემოებების შესახებ თუ სად მოხდა თავშესაფრის დატოვების შემდეგ ბენეფიციართა გადასვლა. მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი №3

თავშესაფრის დატოვების საფუძვლები	2013	2014
ვადის გასვლა	15	18
პირადი განცხადება	16	8
ინტეგრირდა ოჯახში (მშობლებთან)	4	2
ინტეგრირდა ოჯახში (მეუღლესთან)	16	8
გადავიდა ცალკე საცხოვრებლად	7	12
შიდა რეფერირებით (გადავიდა ფონდის სხვა თავშესაფარში)	1	1
სხვა ინსტიტუციაში	1	1
გაურკვეველი	2	2

ადმინისტრაციის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ თავშესაფარში განთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ ხდება საქმის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მისი გაგრძელება. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მსხვერპლისთვის ვადა 3, 6 ან გამონაკლის შემთხვევებში ერთი წლითაც გაუგრძელებიათ, რაც იძლევა ვარაუდის შესაძლებლობას, რომ თავშესაფრის ადმინისტრაცია დაინტერესებულია თავშესაფარში განთავსებულ პირთა შემდგომი ცხოვრებით, ცდილობს ხელი შეუწყოს მათ და მისცეს თავშესაფარი საჭიროებისამებრ. გორის თავშესაფარში 2014 წელს მცხოვრებ ყველა პირს გაუგრძელდა ვადა, თბილისში 5 პირს დაუდგა ასეთი საჭიროება და დაკმაყოფილდა კიდეც, ხოლო ვინაიდან ქუთაისის თავშესაფარი შედარებით ახალი გახსნილია, თავშესაფრის მომსახურების გაგრძელების მიზნით მხოლოდ ერთი ბენეფიციარი გადაამისამართეს თბილისში.

ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგად შემდეგი ვითარება გამოიკვეთა: უმრავლეს შემთხვევაში, თავშესაფარში მოთავსების კანონით გათვალისწინებული 3 თვიანი ვადა არასაკმარისია მსხვერპლის სრულფასოვანი ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციისთვის. მათი უმრავლესობა ძალიან დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა ძალადობრივ გარემოში და დიდი ძალისხმევა დასჭირდათ თავის დასაღწევად. შესაბამისად, უმრავლესობას აქვს როგორც ფიზიკური, ასევე ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმები, რომელთა

მოშუშებასაც დრო სჭირდება. ამასთან, ცხადია, თავშესაფრებით სარგებლობის აუცილებლობა უდგათ იმ პირებს, რომლებსაც საკუთარი საცხოვრებელი არ აქვთ.

მნიშვნელოვანია, რომ ქალების უმრავლესობას, ოჯახიდან წასვლისას თან ახლავს მცირეწლოვანი შვილები, რომლებიც ასევე მხოლოდ და მხოლოდ დედის იმედად არიან დარჩენილები, სანამ მამას სასამართლო წესით ალიმენტი არ დაეკისრება. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ალიმენტების დაკისრებისა და ქონების გაყოფის ფაქტები ძალიან მწირია, ასე რომ ძალადობის მსხვერპლ ქალებს ხშირად საკუთარი ძალებით უწევთ ცხოვრების გაგრძელება. მათ დასახმარებლად თავშესაფარი მნიშვნელოვანი სერვისია, და შესაბამისად, მასში განთავსების ვადები უმჯობესია უფრო ხანგრძლივი იყოს. როგორც აღინიშნა, ძირითადად, ვადები გრძელდება, მაგრამ ვადის გაგრძელების მოლოდინი, პროცედურები, რომლებიც ამასთან არის დაკავშირებული კიდევ უფრო ძლიერ სტრესში აგდებს მსხვერპლებს. საუბრისას თითქმის ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ თავს ძალიან კარგად გრძნობს თავშესაფარში, მაგრამ ამავდროულად დღეებს ითვლის, რადგან არ იცის, თუ სად უნდა წავიდეს ვადის ამოწურვის შემდეგ. ხშირად მათთვის ერთადერთი ალტერნატივა ისევ მოძალადე მეუღლის ოჯახში დაბრუნებაა.

თავისთავად ცხადია, რომ თავშესაფარი ვერ იქნება საჭიროების მქონე პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ არსებული ვითარებიდან გამომდინარე დგინდება, რომ 3 თვე ძალიან ცოტა დროა რათა ნაწილობრივ მაინც იქნას მოგვარებული ის პრობლემები, რომელთა წინაშეც სერვისით მოსარგებლე პირები იმყოფებიან.

თავშესაფრის პერსონალი

გორის თავშესაფარში მონიტორინგის დროს დასაქმებული იყო 14 თანამშრომელი, ქუთაისში 11, ხოლო თბილისში 17. ყველას გავლილი აქვს გადამზადება ოჯახში ძალადობის თემასთან დაკავშირებით. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები თავშესაფრების დებულებაში დეტალურად არის გაწერილი.

„ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისა და ცხელი ხაზის ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპების“ თანახმად, თავშესაფრის პერსონალის სავალდებულო შემადგენლობაში შედის: თავშესაფრის მენეჯერი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, მედდა, მორიგე. გორისა და ქუთაისის დაწესებულებებს არ ჰყავთ იურისტი, თუმცა იურიდიული კონსულტაციის საჭიროების წარმოშობის დროს დახმარებისთვის მიმართავენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უწევენ კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში იცავენ მსხვერპლების ინტერესებს სასამართლოში. ქუთაისის თავშესაფარში ასევე არ ჰყავთ სოციალური მუშაკი, თუმცა მონიტორინგის დროისთვის ქუთაისის თავშესაფარი პერსონალის დაკომპლექტების პროცესში იყო და დირექტორის განმარტებით სოციალური მუშაკის თანამდებობა უახლოეს პერიოდში დაემატებოდა დასაქმებულთა ნუსხას.

რაც შეეხება არაქართულენოვანი პირებისათვის სერვისის მიწოდების საკითხს, თავშესაფრების ადმინისტრაცია მზად არის საჭიროების შემთხვევაში დაიქირავოს თარჯიმანი და მისი მეშვეობით მიაწოდოს ინფორმაცია უცხო ენაზე მოსაუბრე პირებს.

დასაქმებულ პირთა საქმიანობისა და კვალიფიკაციის შეფასება დაწესებულებაში

მოთავსებულ პირთა გამოკითხვის შედეგებს დაეყრდნო. რესპოდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს პერსონალს და მიიჩნევს, რომ დაწესებულების თანამშრომლები გულისხმიერად და პატივისცემით ეპყრობიან, საკმარის დროს ხარჯავენ იმისათვის, რომ მიაწოდონ ინფორმაცია უსაფრთხოების ზომებისა თუ სხვა სახელმწიფო სერვისების შესახებ. აშკარაა, რომ თავშესაფრებში დასაქმებულის მიმართ ზოგადი განწყობა დადებითი იყო, რასაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიც ადასტურებს.

ცხრილი №4

თეზისები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	მე არ მეხება
თავშესაფრის თანამშრომლები მეპყრობიან პატივისცემით	6			
თავშესაფრის თანამშრომლები არიან მზრუნველები და მეხმარებიან	6			
თავშესაფრის თანამშრომლები ხარჯავენ საკმარის დროს, რათა გვესაუბრონ უსაფრთხოებაზე	4	2		
თავშესაფრის თანამშრომლები ხარჯავენ საკმარის დროს, რათა ესაუბრონ ჩვენს შვილებს უსაფრთხოებაზე	1	2	2	1
პატივს სცემენ ჩემს რელიგიას და რწმენას	5	1		
პატივს სცემენ ჩემს ეთნიკურ წარმომავლობას და რასას	4	1		1
თავშესაფრის თანამშრომლები მეხმარებიან მივიღო საჭირო დახმარება, ჩემი ან ჩემი შვილის შეზღუდული შესაძლებლობის გამო	1			5

ზოგადი გამოკითხვის შედეგებიდან ნათელია, რომ თავშესაფრის ადმინისტრაცია დაკისრებული ვალდებულების ფარგლებში ცდილობს თავშესაფარში მოხვედრილ პირთა პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

აღსანიშნავია მსხვერპლთა ფსიქო–სოციალურ რეაბილიტაციის პროცესი, რომელიც დიდ ძალისხმევასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს. თავშესაფრის დებულებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ფუნქცი-

ონირების სტანდარტების თანახმად, ფსიქოლოგიური დახმარება უნდა გაეწიოს ყველა საჭიროების მქონე პირს. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ფსიქოლოგიური მომსახურების გეგმა. თავშესაფრის ბენეფიციართა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ გადიან ჯგუფური რეაბილიტაციის კურსს, თუმცა ინდივიდუალური შეხვედრები იშვიათი ხასიათს ატარებს. გასაუბრების შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ სათანადოდ არ განემარტათ ფსიქოლოგიური დახმარების მნიშვნელობა და ამ მომსახურებას შესაბამისად არ მიმართავენ. უმჯობესია მომავალში რეაბილიტაციის პროცესში ფსიქოლოგის როლი უფრო მეტად გამოიკვეთოს.

ბენეფიციართა საჭიროებები

მონიტორინგის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს თავშესაფრის ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია წარმოადგენდა. როგორც უკვე აღინიშნა, შეკითხვების უმრავლესობა დახურული იყო და შესაძლო ვარიანტების მაქსიმალურად ამომწურავ ჩამონათვალს მოიცავდა. თუმცა, საუბარი კითხვარის მიღმა წამოჭრილ საკითხებსა და მათთვის მნიშვნელოვან პრობლემატურ თემებსაც შეეხო.

ინფორმაციის გავრცელების წყაროები

საინტერესო მონაცემები შეგროვდა თავშესაფრის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. რესპოდენტებს ჩამოთვლილიდან ერთდროულად რამდენიმე შესაძლო ვარიანტის ამორჩევა შეეძლოთ. როგორც შედეგებიდან ირკვევა, რესპოდენტთა უმრავლესობამ თავშესაფრის შესახებ ცხელი ხაზის მეშვეობით შეიტყო. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, თავისთავად სჭირდებათ დეტალური ინფორმაცია, იმისათვის, რომ წამოვიდნენ ოჯახიდან და თავშესაფარს შეაფარონ თავი, როგორც ჩანს ცხელი ხაზის ოპერატორები კარგად ართმევენ თავს ამ დავალებას და საკმარის ინფორმაციას აწვდიან აბონენტებს, რაც უადვილებთ მათ გადაწყვეტილების მიღებას. გამოკითხვის შედეგები ასე გამოიყურება:



გასაუბრებიდან ირკვევა, რომ მსხვერპლთა უმრავლესობა ხანგრძლივი დროის მანძილზე არ ფლობდა ინფორმაციას არსებული სერვისების შესახებ და ამიტომ აგრძელებდა ძალადობრივ გარემოში ცხოვრებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მათ უმრავლესობას რამდენჯერმე (საშუალოდ 3-ჯერ) ჰყავდა ძალადობის ფაქტზე გამოძახებულიისაპატრულოპოლიცია,თუმცა არ ეცნობათ თავშესაფარში გადაყვანის შესაძლებლობის შესახებ, რის გამოც იძულებულნი გახდნენ დარჩენილიყვნენ სახლში, ან დროებით ნათესავებთან თუ მეზობლებთან შეეფარებინათ თავი. აშკარაა, რომ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების შესახებ ინფორმაცია კვლავაც ინტენსიურად უნდა გავრცელდეს მედიასაშუალებებით, ამასთან შესაბამისმა სამსახურებმა, შესაძლო მსხვერპლს სახელმწიფო სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაცია შემთხვევის ადგილზე უნდა გააცნონ. დამატებით შესაძლებელია მოკლე საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება დაინტერესებული პირებისთვის შემთხვევის ადგილზე დასარიგებლად.

რესპოდენტების მიერ აღწერილი პირველადი შთაბეჭდილებები

მონიტორინგის დროს მივიღეთ ინფორმაცია იმ პირველადი შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს თავშესაფარში მოხვედრის შედეგად გაუჩნდათ. რესპოდენტებს უნდა მოენიშნათ ყველა ჩამოთვლილი თეზისი, რომელიც მათ შეგრძნებებსა და განცდებს შეესაბამებოდა:

ცხრილი №5

როდესაც პირველად მოხვდით თავშესაფარში...	% ვინც დაეთანხმა
თანამშრომლებმა კარგად მიმიღეს	100
ადგილი მოხერხებული/კომფორტულია ჩემთვის	100
სხვა მაცხოვრებლებმა მიმიღეს კარგად	50
თანამშრომლები პატივისცემით მეპყრობიან	50
ეს ადგილი ჩემნაირი ადამიანებისთვის არის განკუთვნილი	50
არცერთი ჩამოთვლილი თეზისი არ არის ჩემთვის მისაღები	0

ეს შეკითხვა განკუთვნილი იყო მხოლოდ იმ რესპოდენტებისათვის, რომელთა თავშესაფარში ყოფნის პერიოდი არ აღემატებოდა ორ კვირას და შესაბამისად პირველადი შეგრძნებები საკმაოდ კარგად ახსოვდათ.

თავშესაფართან დაკავშირებული მოლოდინების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად კითხვარებში ასევე რამდენიმე ღია შეკითხვა იყო: როდესაც თავშესაფარში მოსვლა გადაწყვიტეთ, რას ფიქრობდით, რა შეიძლებოდა თავშესაფარს გაეკეთებინა თქვენთვის? რა მოლოდინები ან იმედები გქონდათ თავდაპირველად და ამჟამად? პირველადი მოლოდინი, თავისთავად უსაფრთხოებისა და დახმარების იმედი იყო, თუმცა საუბარი ასევე სამომავლოდ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხო.

რაც შეეხება თავშესაფარში მოხვედრას, როგორც ირკვევა სირთულეები მხოლოდ შიშის დაძლევასა და არასწორი ინფორმაციის ქონასთან იყო დაკავშირებული. ზოგადი სურათი ასეთია: თავშესაფრის თანამშრომლები და ადმინისტრაცია საკმაოდ კარგად არის მომზადებული პირველადი ნდობის მოსაპოვებლად, ბენეფიციარები თავს დაცულად გრძნობენ, გარემო კეთილსაიმედოა მათთვის, თუმცა როგორც კითხვარებიდან დგინდება, არსებობს გარკვეული სირთულეები და კონფლიქტური სიტუაციები თავშესაფრის ბენეფიციარებს შორის. რა თქმა უნდა ყველა თავისებურად უმკლავდება უცხო პირებთან ერთად ცხოვრების წესებს, ეს ძალიან სუბიექტური დამოკიდებულებაა, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

თავშესაფარში ცხოვრების შედეგად მიღებული გამოცდილება

პირველადი შეგრძნებების კვლევასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ ადამიანების გამოცდილების გაზიარება, რომლებიც უკვე ხანგრძლივი დროის მანძილზე (ერთ თვეზე მეტი დროით) სარგებლობენ თავშესაფრის სერვისით. საინტერესო იყო რესპოდენტთა შეფასების გამოვლენა, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული მათი მოლოდინები და როგორი იყო რეალური სარგებელი რომელიც მათ თავშესაფარში მოხვედრის შედეგად მიიღეს.

თავისთავად, მას შემდეგ რაც პირველი სტრესი დაძლეულია იზრდება საჭიროებები და შეფასებაც უფრო დამაჯერებელი

ხდება. ადამიანები მეტ ინფორმაციას ფლობენ არსებული სერვისებისა თუ მომსახურების შესახებ. გარდა ამისა, ბენეფიციარებს შესწევთ უნარი უკეთ გააანალიზონ თავიანთი შესაძლებლობები და აწონ–დაწონონ თუ რა გადალახეს და როგორ სურთ მომავალში ცხოვრების გაგრძელება, ამასთან უკეთ აცნობიერებენ რეალურ ვითარებას. იმისათვის, რომ ეს პროცესი სწორად წარიმართოს, თავშესაფარი ვალდებულია სერვისით მოსარგებლეებს გაუწიოს როგორც იურიდიული კონსულტაცია ასევე მიაწოდოს მათ ინფორმაცია სოციალური პროგრამების შესახებ და უზრუნველყოს მათი ფსიქოლოგიური დახმარება. ბენეფიციართა მხრიდან თავშესაფრის მომსახურების შეფასება ზემოხსენებულ ფაქტორებთან დაკავშირებით მოყვანილია N6 ცხრილში, ამ შემთხვევაშიც, სხვა ცხრილების მსგავსად მოცემული იყო კონკრეტული თეზისები, თითოეულ მათგანის დადებითი ან უარყოფითი შეფასებით:

ცხრილი №6

თავშესაფარში მოხვედრის შედეგად	კი	კი %	არა
მე ვიცი მეტი გზა ჩემი უსაფრთხოებისთვის	3	50	3
მე მეტი ვიცი არსებული სერვისების შესახებ	1	17	5
უფრო დარწმუნებული ვარ ჩემს გადაწყვეტილებებში	3	50	3
უფრო მიადვილდება იმ თემებზე საუბარი, რაც მე მაწუხებს	5	83	1
შემიძლია მივაღწიო ჩემს მიზნებს	3	50	3
მაქვს მომავლის მეტი იმედი	3	50	3
უფრო მიადვილდება ვითხოვო დახმარება	4	67	2
მეტი ვიცი ჩემს შესაძლებლობებზე	2	33	4
მე შემიძლია გავაკეთო მეტი	5	83	1

როგორც შევსებული კითხვარიდან, ასევე გასაუბრებისპროცესშიცნათლადგამოჩნდა, რომ ბენეფიციართა უმრავლესობა მთლიანად თავშესაფრის პერსონალის დახმარებაზეა დამოკიდებული და მზად არ არის დამოუკიდებლად გაუმკლავდეს პრობლემებს. რა თქმა უნდა ნებისმიერი ადამიანისთვის და მითუმეტეს მსხვერპლისთვის ძალიან ძნელია იმ უმძიმესი პრობლემების პირისპირ ყოფნა, რომელიც ძალადობის შედეგად თავშესაფარში მყოფ პირებს აქვთ, თუმცა სასურველი იქნებოდა, სერვისით სარგებლობის ვადის ამოწურვამდე უფრო ეფექტური იყოს მუშაობა, მათი გაძლიერებისთვის.

გამოკითხულთა მხოლოდ 17% თვლის, რომ ფლობს ინფორმაციას არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ, გამოკითხულთა ნახევარმა არ იცის საკმარისი გზები თავის დასაცავად, ანუ ფაქტიურად არ აქვთ არანაირი მომზადება იმისათვის, რომ დატოვონ თავშესაფარი და ისევ მოძალადის პირისპირ არ აღმოჩნდნენ. თუმცა, წინ გადადგმული ნაბიჯია, რომ მათ უადვილდებათ თავიანთ პრობლემებზე

საუბარი და შეუძლიათ ითხოვონ დახმარება, ვინაიდან ცნობილია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობა ცხოვრობს უმძიმეს პირობებში სწორედ იმიტომ, რომ რცხვენიათ დახმარების თხოვნა, არ ძალუძთ საუბარი მათთვის ყველაზე მტკივნეულ თემაზე, ამ შეგრძნების გადალახვა სწორედ კარგი მუშაობის შედეგია. ცხადია, დასახვეწია მსხვერპლთა ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა და არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები, რადგან თავშესაფარი დროებითი ღონისძიებაა, რომლით სარგებლობის პერიოდშიც აუცილებელია მაქსიმალურად მოხდეს მსხვერპლის გაძლიერება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სერვისის დატოვების შემდეგ ადამიანებმა შეძლონ ცხოვრების დამოუკიდებლად გაგრძელება, რათა თავიდან აიცილონ განმეორებითი ძალადობა. სხვა შემთხვევაში ვიღებთ ჩაკეტილ წრეს, მსხვერპლი დროებით აღწევს თავს ძალადობრივ გარემოს, იწყებს რეაბილიტაციას და ვადების სიმცირის გამო ისევ ბრუნდება უკან, რადგან სხვა ალტერნატივა არ აქვს.

თავშესაფრის ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის გეგმების ეფექტურობის გაუმჯობესების გზები ყველაზე კარგად თვითონ სერვისის მიმწოდებლებმა უნდა იცოდნენ, მათ აქვთ ყველაზე მჭიდრო შეხება მსხვერპლებთან და სავარაუდოდ უნდა შესწევდეთ უნარი გააანალიზონ რა დამატებითი ღონისძიებებია აუცილებელი მათი სრულყოფილი დახმარებისთვის.

სრული სურათის დასანახად მოხდა მოლოდინებისა და რეალურად მიღებული სერვისების შედარება, რათა ნათელი გამხდარიყო თუ რამდენად დაემთხვა ისინი ერთმანეთს, რამდენად პასუხობს თავშესაფრის სერვისი იმ საჭიროებებს, რომლებიც ბენეფიციარებს საკუთარი შესაძლებლობების განსამტკიცებლად აქვთ. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში N7 მოცემულია თეზისები, რამდენიმე სავარაუდო პასუხით, რომლებიც, თავშესაფარში ცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილებიდან გამომდინარე უნდა ამოერჩიათ რესპოდენტებს.

დახმარება, რომელიც თქვენ შესაძლოა გჭირდებოდათ ან შეიძლება მიიღეთ თავშესაფარში ყოფნისას

3=მივიღე ყველანაირი დახმარება, რაც მე მინდოდა

2=მივიღე ნაწილი დახმარებისა, რაც მინდოდა

1=მინდოდა სწორედ ასეთი ტიპის დახმარება,
მაგრამ არ მიმიღია

0= ეს მე არ მეხება, მე არ მინდა ან არ მჭირდება ეს

ხოლო პირებს, რომლებიც ორ კვირაზე ნაკლები დროით იმყოფებოდნენ თავშესაფარში, მხოლოდ მოლოდინის შეფასება მოუწიათ, რადგან არ ფლობდნენ საკმარის ინფორმაციას რეალურად არსებული ვითარების შესახებ:

ცხრილი №7

იმედი მაქვს მივიღებ დახმარებას…./ მივიღე დახმარება	% ვინც თავდაპირ-ველად ამოირჩია პასუხი	% სჭირდე-ბოდა დახმარება	% მიიღო ყველა-ნაირი დახმარება	% მიიღო ნაწილობრივ დახმარება	% არ მიუღია არავითარი დახმარება
რათა დავუთმო ყურადღება ჩემს საკუთარ სურვილებს და საჭიროებებს	100	100	50	33	17
რათა მეტი განათლება მივიღო	50	67	25	25	50
უკეთ გავიცნო ბავშვთა დაცვის სისტემა	0	83	20	60	20
რათა დავძლიო სტრესი	100	83	60	40	0
რომ მოვძებნო ჩემთვის სასურველი საცხოვრებელი ადგილი	50	50	0	33	67
რათა ვიპოვო სამსახური ან მივიღო მეტი ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ	50	67	25	0	75
მოვაგვარო ჩემი ჯანმრთელობის პრობლემები	50	67	50	25	25
სხვა სამთავრობო სარგებელი	50	50	0	33	67

როგორც თავშესაფარში ახლად მოთავსებული, ასევე ხანგრძლივი გამოცდილების მქონე პირები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ სჭირდებათ დახმარება უსაფრთხოებისთვის და მიიღეს კიდეც. მათ ასევე, სჭირდებოდათ მეტი ინფორმაცია ოჯახში ძალადობის შესახებ. 67% თვლის რომ ასეთი ინფორმაცია მიიღო, 17%–ის აზრით კი საკმარისი ინფორმაცია არ მიაწოდეს. ასევე ყველა რესპოდენტი ძალადობის შედეგად მიღებული ტრავმების მოსაშუშებლად დახმარებას და საკუთარი სურვილებისა და შესაძლებლობების გაანალიზების უნარის გამომუშავებისთვის ფსიქო–სოციალურ რეაბილიტაციას საჭიროებდა. თუმცა, რესპოდენტთა მხოლოდ ნახევარი თვლის, რომ მიიღო ასეთი დახმარება, 33% პროცენტმა გვიპასუხა, რომ მას ნაწილობრივ დაეხმარნენ ამ საკითხში ხოლო 17% უარყოფს ასეთი დახმარების არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ 83%–ის შეფასებით ფსიქოლოგიური დახმარება გაეწიათ, ნათელია, რომ არ აღმოჩნდა საკმარისი მსხვერპლთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ცხრილს თუ გადავხედავთ ნათლად ჩანს, რომ აზრთა სხვადასხვაობა ისეთ თეზისებთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომლებიც რესოციალიზაციისა და სოციალური საკითხების მოგვარებას შეეხებოდა, როგორიცაა სამსახურთან, საცხოვრებელთან ან მძიმე ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები და მიღებული ტრავმების მოშუშება. შედეგად ისევ მივდივართ ფსიქოლოგიური დახმარებისა და სოციალური პროგრამების ნაკლებობასთან, ამასთან სავარაუდოა, რომ დროის სიმწირეც მნიშვნელოვან უარყოფით როლს ასრულებს რეაბილიტაციის სერვისის სრულყოფილად მიწოდების პროცესში.

დამატებითი განათლების საჭიროება რესპოდენტთა 67% ჰქონდა, თუმცა აქედან ნახევარი თვლის რომ ასეთი სერვისი არ იყო მისთვის ხელმისაწვდომი. საცხოვრებელის პრობლემა გადაუჭრელი დარჩა ასეთი საჭიროების მქონე 67%–ისთვის. საცხოვრებელთან დაკავშირებულ პრობლემას თავისთავად თავშესაფრის ადმინისტრაცია ვერ მოაგვარებს, ვინაიდან აღნიშნული საკითხი მის კომპეტენციას სცილდება, მას მხოლოდ სამართლებრივი კონსულტაციის შესაძლებლობა აქვს ქონებრივი თუ სხვა რაიმე დავის წარმოშობის შემთხვევაში. ასევე სამუშაო ადგილის მოძებნაში 75% ვერ გაეწია დახმარება. ზოგადად ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია, ამასთან გასათვალისწინებელია თავშესაფარში მცხოვრებ პირთა განათლების საფეხურები (ცხრილი N8), კვლევის დროს დადგინდა, რომ 62%–ს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული.

ცხრილი №8

განათლების საფეხური	რესპოდენტთა რიცხვი	რესპოდენტთა %
9 კლასი ან ნაკლები	1	12.5
9 –11		0
სკოლადამთავრებული	1	12.5
ტექნიკუმი/პროფსასწავლებელი	1	12.5
ბაკალავრის ხარისხი	5	62.5
ჯამი	8	100

თავშესაფარში მცხოვრებ პირებს უწყდებათ სხვა სახელმწიფო დახმარება იმ დრომდე, სანამ ისინი სერვისით სარგებლობენ, შემდეგ კი აღსადგენად რამდენიმე თვე არის საჭირო, ვინაიდან ხელახლა უნდა მოხდეს მდგომარეობის შემოწმება და სოციალური დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ფაქტიურად, სოციალურად დაუცველ პირებს თავშესაფრის დატოვების შემდეგ არ აქვთ არავითარი შემოსავალი, იმისათვის, რომ იარსებონ. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები პირდაპირ არ უკავშირდება თავშესაფრის სერვისს, თუმცა მათი მოგვარება აუცილებელია ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების სრულყოფისათვის. ძალადობის მსხვერპლთა დაცვისათვის მყარი სოციალური გარანტიების არსებობა გარკვეულწილად პრევენციული ღონისძიებაც იქნება რადან მისცემს მათ შესაძლებლობას უფრო თამამად დატოვონ ძალადობის ადგილი.

თავშესაფრის წესები

გამოკითხვის პროცესში ასევე შეგროვდა ინფორმაცია თავშესაფარში არსებულ წესებთან დაკავშირებით. რამდენად მარტივია ეს წესები შესასრულებლად ბენეფიციართათვის, ხომ არ უქმნის მათ რაიმე გარემოება უსიამოვნებას. შეკითხვები შეეხებოდა კომენდანტის საათს, ბავშვთა დისციპლინას, ტელეფონით სარგებლობასა და თავშესაფრის სერვისით სარგებლობის დროის ლიმიტს (ცხრილი N9). შეკითხვებზე მოცემული იყო რამდენიმე შესაძლო პასუხი, რომელიც უნდა ამოერჩიათ რესპოდენტებს:

3=ეს არ იყო პრობლემა ჩემთვის

2=ეს იყო პრობლემა ჩემთვის, მაგრამ ის გადაიჭრა

1=ეს იყო პრობლემა და ის არ იქნა ჩემთვის დამაკმაყოფილებლად გადაჭრილი

0=ასეთი წესი არ არსებობდა, ან ეს არ მეხება მე

ცხრილი №9

წესებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც უკავშირდება:	ეს არ იყო პრობლემა ჩემთვის	ეს იყო პრობლემა ჩემთვის, მაგრამ ის გადაიჭრა	პრობლემა არ იქნა ჩემთვის დამაკმაყოფილებლად გადაჭრილი
კომენდანტის საათს	6		
ბავშვებზე ზრუნვას	5		1
ბავშვთა დისციპლინასა და მონიტორინგს	4	1	1
თავშესაფარში ცხოვრების დროის ლიმიტს			3
სამსახურში და სკოლაში სიარულის შესაძლებლობას	1	1	2
ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობას	6		
კონტაქტს ჩემს მოძალადე პარტნიორთან	3	2	

თავშესაფრის წესები პრობლემას არ წარმოადგენს ბენეფიციართათვის ვინაიდან საკმაოდ მოქნილია და ითვალისწინებს ბენეფიციართა მდგომარეობას. საჭიროების შემთხვევაში ყოფილა გამონაკლისის დაშვების პრეცენდენტიც კომენდანტის საათთან დაკავშირებით, როდესაც პირი გვიანობამდე მუშაობდა მაღაზიაში და სხვა გამოსავალი არ იყო. თავისთავად თავშესაფარში მოთავსების დროის ლიმიტი გამოკითხულთა 50%–ის თქმით პრობლემას წარმოადგენს, ერთი მათგანი ელოდებოდა სასამართლოს მიერ დამცავი ორდერის გამოცემას, რომელშიც მსხვერპლის სტატუსის ვადა იქნებოდა მითითებული, რაც შესაბამისად განსაზღვრავს მისი თავშესაფარში ყოფნის პერიოდს (თუ არ აღემატება თავშესაფრის შინაგანაწესით დადგენილ ვადებს), მეორემ აღნიშნა, რომ 2 თვეში ეწურებოდა ვადა და ძალიან ღელავდა ამასთან დაკავშირებით, ვინაიდან არ იცოდა სად წავიდოდა და როგორ მოაგვარებდა საცხოვრებლის პრობლემას.

სამსახურსა თუ სკოლაში სიარულთან დაკავშირებით ერთმა რესპოდენტმა გულისწუხილი გამოთქვა ტრანსპორტის თანხებთან და თავშესაფრის სიშორესთან დაკავშირებით: „ბავშვი ჩემით დამყავს ბაღში და სამი ტრანსპორტის გამოცვლა გვჭირდება სანამ მივალთ ადგილზე“. ძალიან თვალში საცემი იყო, რომ მოძალადესთან კონტაქტი თითქმის ყველა ქალს ჰქონდა. ერთმა მათგანმა ისიც კი თქვა, ბავშვის კვება მჭირდება და მას მოაქვსო.

გარდა თავშესაფრის წესებთან არსებული დამოკიდებულებისა, მნიშვნელოვანი იყო

ბენეფიციართა ურთიერთობების საკითხი, როგორც პერსონალთან ასევე ერთმანეთში კონტაქტი და არსებული პრობლემების გაანალიზება. შედეგები სრულიად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა:

ცხრილი №10

სხვა საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც უკავშირდება:	ეს არ იყო პრობლემა ჩემთვის	ეს იყო პრობლემა ჩემთვის, მაგრამ ის გადაიჭრა	არ იქნა ჩემთვის დამაკმაყოფილებლად გადაჭრილი
კონფლიქტებს თავშესაფარში მცხოვრებ სხვა ქალებთან	3		
კონფლიქტს თავშესაფრის თანამშრომლებთან	4		
პატივისცემის ნაკლებობას მომსახურე პერსონალის მხრიდან	3	1	
კვების რაციონის არჩევანის შესაძლებლობას	0		2
თავშესაფარში მიღების სირთულეებს	4		
განმარტოების ადგილის მოძებნას	3		

ორმა რესპოდენტმა გვაცნობა, რომ თავშესაფარი თვითონ ემსახურება მანქანით, როდესაც ამის საჭიროება აქვს ხოლო ორმა განაცხადა, რომ გადაადგილება თავისი ძალებით უწევს. საუბრისას გაირკვა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული გადაადგილების შემთხვევაში ბენეფიციარებს თავშესაფრის ადმინისტრაცია ეხმარება, ხოლო როდესაც საკითხი ბაღში, სამსახურში ან სხვა პირად საქმეზე სიარულს ეხება, ისინი თვითონ გადაადგილდებიან.

თავშესაფარში მცხოვრებ პირებს არსებულ წესებთან თუ მოპყრობასთან დაკავშირებით თავიანთი უკმაყოფილება შეუძლიათ საჩივრების ყუთის მეშვეობით გამოხატონ, რომელიც 10 დღეში ერთხელ მოწმდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ – ადმინისტრაციისათვის გამსაჩივრებლის ვინაობა უცნობი რჩება.

ადმინისტრაციას ასევე ვკითხეთ თავშესაფრის მომსახურების გაუმჯობესების გზების შესახებ, მათ პირველ რიგში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის აღდგენა დაასახელეს – მონიტორინგის პროცესში აღნიშნული კომისიის ფუნქციონირება შეწყვეტილი იყო, თუმცა ამ დროისათვის მიმდინარეობს ხელახალი შემადგენლობის დაკომპლექტება. ადმინისტრა-

ციის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება ერთჯერად ფულად დახმარებასთან დაკავშირებით: თავშესაფრის დატოვების დროს, სოციალური დახმარების სახით, ამ საჭიროების მქონე პირთათვის ერთჯერადად თანხის გადაცემა რომ ხდებოდეს, რომლითაც იგი შეძლებდა სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღებამდე სარგებლობას, ბინის ქირის ერთი თვით გადახდას ან პირველადი დანიშნულების ნივთების შეძენას, გაცილებით გაადვილდებოდა მსხვერპლთა დახმარება და მათი უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა. ყურადღება გამახვილდა პროფესიულ გადამზადებაზეც, მართალია თავშესაფრის ყველა თანამშრომელს აქვს გავლილი ტრენინგები ქალთა მიმართ ძალადობის თემასთან დაკავშირებით, თუმცა საუბარია თემატურ ტრენინგზე, შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით.

თავშესაფარში მცხოვრები ბავშვები

უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის დროს სწორედ ბავშვზე ზრუნვის საკითხი იქნა გამოკვეთილი, როგორც ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ თუ თავშესაფრების სისტემა მთლიანად არის მობილიზებული ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვაზე, ბავშვთა ზრუნვა ასეთ ყურადღებას ვერ იმსახურებს, ამ გარემოებამ კი შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოშვას.

თავშესაფარში დედებთან ერთად მოთავსებული ბავშვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, რაც ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების აუცილებლობაზე საუბრის საფუძველს იძლევა. 2014 წლის მონაცემებით, თავშესაფრებში მსხვერპლზე დამოკიდებული 32 პირი და 2 არასრულწლოვანი მსხვერპლი ირიცხებოდა. მონიტორინგის დროს 18 წლამდე ასაკის თანმხლები პირების მონაცემები მითითებულია ცხრილში N11:

ცხრილი N11

1 წლამდე	1
1–5 წლამდე	5
6–12 წლამდე	3
12 წლიდან ზევით	0

პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ უმრავლეს შემთხვევაში დედები ბავშვებთან ერთად ტოვებენ ოჯახს და მათი თანხლებით ხვდებიან სახელმწიფო სერვისებშიც. მიუხედავად იმისა, უშუალოდ ხორციელდებოდა თუ არა ძალადობა მათ მიმართ, ოჯახში ძალადობის მომსწრე ბავშვთა მდგომარეობა ხშირად ისეთივე მძიმეა, როგორც პირდაპირი მსხვერპლის და მათაც აუცილებლად ესაჭიროებათ რეაბილიტაცია და კეთილსაიმედო გარემო.

მონიტორინგის კითხვარები თავშესაფრებში ბავშვთა სერვისების შესახებ შეკითხვებსაც მოიცავდა, რათა საჭიროებების შეფასება და არსებული ვითარების ანალიზი ყოფილიყო შესაძლებელი. N12 ცხრილის თანახმად, მსხვერპლთა თანმხლები არასრულწლოვანი პირების მდგომარეობა თავშესაფარში გადაყვანის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა, რაც მოსალოდნელიც იყო:

ცხრილი №12

თავშესაფარში მოხვედრის შედეგად მე ვგრძნობ, რომ ჩემი შვილები	კი	კი %	არა
თავს გრძნობენ უკეთესად ძალადობის გარეშე	6	100	0
ახლა მეტი ესმით რა მოხდა სახლში	6	100	0
გრძნობენ მეტ მხარდაჭერას	5	83	1

უდავოა, რომ ბავშვები თავს კარგად გრძნობენ ძალადობრივ გარემოსთან ჩამოშორების შემდეგ თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სერვისი არასრულწლოვანთათვის აუცილებელი დამატებით გარემოებებს თითქმის არ ითვალისწინებს. იკვეთება სპეციალური სტანდარტების დანერგვის აუცილებლობა, რომელიც ბავშვთა საჭიროებებზე იქნება მორგებული. მხედველობაშია მისაღები, რომ თავშესაფარში მოხვედრილ ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფები განსხვავებულია – ძალიან მცირედან 18 წლამდე. ამიტომ აუცილებელია სპეციალური მიდგომა, რომელიც ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით იქნება შედგენილი. როგორც კვლევამ აჩვენა, ერთ–ერთი ასეთი შეუსაბამობის მაგალითი თავშესაფრის დღის განრიგის არალოიალურობაა ბავშვთა საჭიროებების მიმართ. თავშესაფრის წესებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე საუბრისას (ცხრილი N13) რამდენიმე რესპოდენტმა ყურადღება გაამახვილა თავშესაფრის დღის რეჟიმზე, მცირეწლოვან ბავშვებს უჭირთ დილით ადრე გაღვიძება საუზმისთვის და საღამოს წესების მიხედვით (11 საათზე) დაძინება.

აღინიშნა ბავშვთა კვების პრობლემა. როგორც ირკვევა, თავშესაფრებში ხილისა და ბოსტნეულის ძალიან მცირე ჩამონათვალია, ასევე არ არის ბავშვისათვის შესაბამისი თევზეული (მხოლოდ გაყინული ფილეს სახით) და ბავშვთა კვებისათვის აუცილებელი სხვა პროდუქტები. ჯანსაღი კვება უშუალოდ მოქმედებს მოზარდის განვითარებაზე, სახელმწიფო კი ვალდებულია მიაწოდოს სრულფასოვანი სერვისი მისი ზრუნვის ქვეშ მყოფ პირებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს. აუცილებელია დაიხვეწოს ბავშვთა კვების სისტემა და მორგებულ იქნას მათ საჭიროებებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვის უფლებათა დარღვევასთან გვაქვს საქმე.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში იმ აუცილებელ მოთხოვნებზეა საუბარი, რომლებიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს აქვთ, შვილებზე სათანადო ზრუნვისათვის. მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა მძიმეა და აუცილებელია შეიქმნას ისეთი პირობები, სადაც ისინი სრულფასოვნად შეძლებენ თავიანთი შვილების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ცხრილი №13

თავშესაფარში ყოფნის დროს მივიღე დახმარება	N სჭირდებოდა დახმარება	% სჭირდებოდა დახმარება	% მიიღო ყველანაირი დახმარება	% მიიღო ნაწილობრივი დახმარება	% არ მიუღია არავითარი დახმარება
ჩემი შვილ(ებ)ის უსაფრთხოებისთვის	7	100	100	0	0
რათა დავუთმო ყურადღება ჩემი შვილების სურვილებს და საჭიროებებს	8	100	67	33	0
რათა დავეხმარო ჩემს შვილებს როდესაც ისინი მოწყენილები არიან ან პრობლემები აქვთ	6	100	67	17	17
შევძლო ბავშვებზე ზრუნვა	6	83	60	40	0
მოვაგვარო ჩემი შვილების ჯანმრთელობის პრობლემები	5	83	80	20	0

გამოკითხულთაგან ასეთი საჭიროების მქონე რესპოდენტთა 60% მიიჩნევს, რომ არ მიუღია სათანადო ინფორმაცია ბავშვთა დაცვის სისტემის შესახებ, 20% კი აღნიშნულზე არ ფლობს არავითარ ინფორმაციას, 50% განათლების პრობლემას ასახელებს გადაუჭრელად, ხოლო 20%–ისთვის კვლავ გადაუჭრელი რჩება ბავშვთა ჯანმრთელობის პრობლემები.

თავშესაფარში არ არის გათვალისწინებული ძიძების მომსახურება, ყველა მშობელი თვითონ არის პასუხისმგებელი ბავშვის აღზრდაზე, რაც ერთი შეხედვით არავითარ შეკითხვებს არ ბადებს, თუმცა მხედველობაშია მისაღები, რომ დედების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეიძლება გარკვეული პრობლემები წარმოიშვას. ერთ–ერთი რესპოდენტი, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავდა, ორსულად იყო, მას გადატანილი ჰქონდა მძიმე სტრესი, თუმცა მზად იყო დაეწყო დამლაგებლად მუშაობა, რათა მცირე შემოსავალი ჰქონოდა. ხელის შემშლელ ფაქტორად ბავშვის დამტოვებლის არარსებობა გამოიკვეთა. ძნელია იმ ქალების დასაქმებაზე ან რაიმე პროფესიულ გადამზადებაზე საუბარი, რომლებიც მცირეწლოვან შვილებთან ერთად სარგებლობენ თავშესაფრით, ვინაიდან ისინი ბავშვებს სულ მცირე დროითაც კი ვერ ტოვებენ.

თავშესაფარში მცხოვრებ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა

თავშესაფრები აღჭურვილია მედიკამენტებით, რომელთა ჩამონათვალიც დებულების მიხედვით არის განსაზღვრული და მათი კურირება მედდის პრეროგატივაა. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დედებისა და ბავშვების ჯანმრთელობის დაცვისათვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობას. პირველადი და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევაში ხდება სამედიცინო შემოწმება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში სტაციონარიზაცია. თუმცა როდესაც საქმე გადაუდებელ დახმარებას არ ეხება და პირს უბრალოდ, სხვადასხვა დაავადებების გამო უწევს წამლის მიღება, შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების წესის შესაბამისად ხდება. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურა კი საკმაოდ ხანგრძლივია. ამიტომ წამლების დროული მიწოდება ვერ ხერხდება.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. მონიტორინგის დროს, ერთ–ერთმა რესპოდენტმა გვაცნობა, რომ მის შვილს ვირუსული ინფექციის გამო ექიმმა ისეთი პრეპარატები გამოუწერა, რომლებიც თავშესაფარში არსებული მედიკამენტების ნუსხაში არ შედიოდა. პრეპარატის (ანტიბიოტიკის) მიღება აუცილებელი იყო დაუყოვნებლივ, თუმცა ხანგრძლივი პროცედურის გამო ბავშვს წამალი სამი დღის მანძილზე ვერ მიეწოდა.

ბავშვის უფლებათა კონვენციითა და საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვები მისთვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურებით. ასეთი ტიპის შეფერხებები დაუშვებელია, საჭიროა შემუშავდეს კონკრეტული მექანიზმი, რომელიც ბენეფიციართა მედიკამენტებით დროულ უზრუნველყოფას გახდის შესაძლებელს.

თავშესაფრებში ასევე არ ჰყავთ ბავშვთა ფსიქოლოგი და მათ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე მუშაობა არ ხორციელდება. დირექციამ განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში ამ მომსახურებას მოზრდილთა ფსიქოლოგი გაწევს. გაუგებარია ვინ დაადგენს საჭიროებას, თუ არ ხდება ბავშვის მდგომარეობის შეფასება. აუცილებელია, თავშესაფარში მოხვედრისთანავე მოხდეს როგორც დედის, ასევე ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი გეგმის შემუშავება, რათა პატარებსაც ჰქონდეთ რეაბილიტაციის კურსზე ხელმისაწვდომობა. ამჟამად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბავშვების სისტემის გარეთ არიან დარჩენილები.

საყოფაცხოვრებო პირობები

თავშესაფრები კეთილსაიმედოდ არის მოწყობილი, ყველა მათგანში არის სისუფთავე და სითბო, ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები. ოთახები კეთილმოწყობილია, გათვალისწინებულია ბავშვთა საწოლები, დაცულია სანიტარული ნორმები.

თავშესაფრის დებულებით, მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თავშესაფრების ადგილსამყოფელი კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება არ შეიძლება. მსხვერპლთა დაცვისათვის ასევე აუცილებელია რკინის კარი და 24 საათიანი დაცვა. აღსანიშნავია, რომ რეგიონებში არსებული თავშესაფრების მისამართი ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისთვის და პატარა ქალაქების სპეციფიკიდან გამომდინარე, ძნელია კონფიდენციალურობის შენარჩუნება.

ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება დაცვის ღონისძიებების გაძლიერება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გორის თავშესაფარს არ აქვს რკინის კარი და არ არის სათანადოდ დაცული, რაც არ შეესაბამება უსაფრთხოების სტანდარტებს[7].

ქუთაისის თავშესაფარი ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის, მას ერთი ასეთი ადამიანის მიღება შეუძლია. ადაპტირებულია ოთახი, სველი წერტილები და სასადილო, რაც ძალიან დადებითი ფაქტია. თუმცა სხვა სახის შეზღუდვების მქონე პირებს (ფსიქიკური, მხედველობა დაქვეითებული...) ვერც ერთი თავშესაფარი ვერ მიიღებს.

პრობლემა არ არსებობს ასევე რელიგიური უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის. იეჰოვას მოწმე რესპოდენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ აქვთ თავიანთი რიტუალების განხორციელების შესაძლებლობა და პერსონალის მხრიდან არავითარ დისკომფორტს არ განიცდიან. თავშესაფრებს საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ თარჯიმნის დაქირავება, თუ მსხვერპლი არაქართულენოვანი იქნება, ამიტომ მომსახურების გაწევა შესაძლებელია როგორც ქართველი ასევე სხვა ეროვნების პირთათვის. მონიტორინგის დროს ეთნიკური მახასიათებლების მიხედვით ბენეფიციარები ასე გადანაწილდნენ:

ცხრილი №14

ეროვნება	რესპოდენტთა რიცხვი	რესპოდენტთა %
ეთნიკურ ქართველად	7	87.5
ეთნიკურ აზერბაიჯანელად	0	0
ეთნიკურ სომეხად	0	0
სხვა (თუ შეიძლება მიუთითეთ)	1 (რუსი)	12.5
ჯამი	8	100

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავშესაფრები პირველად დახმარებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მაღალი ხარისხის მომსახურებას აწვდიან ბენეფიციარებს თუმცა ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციისა და შემდგომი ცხოვრებისათვის მომზადების კუთხით სერვისი დასახვეწია. აუცილებელია მეტი პროგრამების დაგეგმვა, ფსიქოლოგის მუშაობის და სოციალური სფეროს გაძლიერება. გასათვალისწინებელია ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა და შესაბამისი სტანდარტების დანერგვის უზრუნველყოფა.

7 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №183/ნ

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს

- გადაიხედოს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული – თავშესაფარში პირთა მოთავსების ვადები და მოხდეს მისი გახანგრძლივება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ვადასთან შესაბამისობით

საქართველოს მთავრობას

- ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მიზნით მოხდეს პროფესიული გადამზადების კურსებისა და დასაქმების პროგრამების სახელმწიფო პოლიტიკაში ინტეგრირება
- გადაიდგას ქმედითი, ეფექტური ნაბიჯები ძალადობის მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება თავშესაფრის ბენეფიციართა შემდგომი საცხოვრებლით უზრუნველყოფის დროებითი ღონისძიებები, სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართვამდე[8]

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- გადაიხედოს და გაძლიერდეს თავშესაფრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები, დაევალოს საპატრულო პოლიციასა თუ უბნის ინსპექტორს არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ მსხვერპლთათვის შემთხვევის ადგილზე ინფორმაციის მიწოდება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს

- თავშესაფარში სოციალურად დაუცველი პირის მოთავსების შემთხვევაში მოხდეს მისი შემწეობის შეჩერება ისეთნაირად, რომ სერვისის დატოვების შემდეგ შემწეობა აღუდგეს ავტომატურად
- გადაიხედოს ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის გეგმა, მისი შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის
- გადაიხედოს ბავშვთა კვების სტანდარტები და დაემატოს ბავშვთა განვითარებისათვის აუცილებელი პროდუქტების ჩამონათვალი
  გადაიხედოს მედიკამენტებით უზრუნველყოფის წესი და შემუშავდეს ისეთი რეგულაციები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ადმინისტრაციას დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ბენეფიციართა საჭირო წამლებით მომარაგება
- საჭიროების წარმოშობის დროს, ბენეფიციართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათთვის მუშაობისა და პროფესიული გადამზადების შესაძლებლობის შესაქმნელად დაინერგოს აღმზრდელის ან დამხმარე პირის დაქირავების წესი.

8 ცნობილია, რომ პირთა სოციალურ პროგრამაში ჩართავს საშუალოდ 1–3 თვემდე სჭირდება, ამ მონაკვეთში, პირები, რომლებმაც დატოვეს თავშესაფარი პროგრამის მიღმა არიან;

ცხელი ხაზის სერვისი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის

მონიტორინგის ფარგლებში ასევე ცხელი ხაზის მომსახურებაც შემოწმდა. როგორც ცნობილია, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შექმნა ცხელი ხაზი, რომელიც ოჯახში ძალადობის საკითხებზე ეხმარება ადამიანებს. ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი მუშაობს 24 საათი, ზარების ანონიმურობა დაცულია. ვინაიდან აღნიშნული სერვისი არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, მიზანშეწონილი იყო მისი მომსახურების შესწავლა.

ცხელი ხაზის სამსახური გასცემს ინფორმაციას ოჯახში ძალადობის საკითხებზე რელევანტური სამსახურებისა და დახმარების შესახებ, რაც მოიცავს:

ინფორმაციას თავშესაფრებსა და მსხვერპლთათვის (მოზრდილთა და ბავშვთა) არსებულ სერვისებზე;

- ინფორმაციას ოჯახში ძალადობისაგან დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე (დამცავი და შემაკავებელი ორდერები);
- სამართალწარმოების პროცესუალურ საკითხებზე: გამოძახება, მტკიცებულებების შეგროვება, სასამართლო პროცესი;
- არასრულწლოვანთა სოციალურ უზრუნველყოფასა და დაცვაზე;
- ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებსა და სერვისებზე;
- ფსიქიკური სიჯანსაღის (ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული) სერვისებზე;
- ინფორმაციას ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ.

ცხელი ხაზის სამსახური ასევე უზრუნველყოფს გადაუდებელ შემთხვევებში შესაბამის რეაგირებას, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- სამართალდამცველთა/პოლიციის გამოძახება სავარაუდო მსხვერპლისთვის (ბენეფიციარის თანხმობით);
- სამედიცინო დახმარების გამოძახება სავარაუდო მსხვერპლისთვის (ბენეფიციარის თანხმობით).

მონიტორინგის დროს ცხელ ხაზზე 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით 4 ადამიანი მუშაობდა, რომლებიც მორიგეობით, ყოველ მეოთხე დღეს ეცვლებოდნენ ერთმანეთს.

ცხელი ხაზის სამსახური მოიცავს შემდეგი ტიპის მომსახურებას: კრიზისული დახმარება, იურიდიული კონსულტაცია, ფსიქოლოგიურიდახმარება,ინფორმირება, თავშესაფარსა თუ საკონსულტაციო ცენტრში გადამისამართება, ასევე აბონენტის თანხმობით პოლიციის ან საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახება.

იმ პირების მონაცემები, რომლებიც ცხელ ხაზზე რეკავენ, კონფიდენციალურია, ზარის დროს ხდება მხოლოდ სქესისა და ასაკის დაზუსტება, თუმცა რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში პირი თვითონ ასახელებს საკუთარ ვინაობას. საშუალოდ ერთი პირი 2–3 ჯერ მაინც რეკავს იმისათვის, რომ მიიღოს სრული კონსულტაცია და საბოლოო გადაწყვეტილება ამა თუ იმ სერვისით სარგებლობაზე. თავშესაფრების მონიტორინგის დროს რამდენიმე პირმა აღნიშნა, რომ

სწორედ ცხელი ხაზის მეშვეობით შეიტყო თავშესაფრის შესახებ და მიიღო ინსტრუქცია, თუ რა რეგულაციების გავლა იყო საჭირო იქ მოსახვედრად.

2014 წელს ცხელ ხაზზე შემოსული ზარების მთლიანი რაოდენობა იყო 766, აქედან 659–ქალის, ხოლო 107 მამაკაცის მიერ იქნა განხორციელებული. მონიტორინგის დროს კითხვაზე, თუ რამდენად არის სერვისი ხელმისაწვდომი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთათვის, პასუხად ფართო ჩამონათვალი მივიღეთ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ის ოთხი ადამიანი, რომლებიც ზარებს პასუხობენ უცხო ენებს არ ფლობენ, შესაბამისად ნაკლებად სავარაუდოა მათ არაქართულენოვანი პირების კონსულტირება შეძლონ.

კონფიდენციალურობის პრინციპებიდან გამომდინარე, ზარების მეშვეობით შემოსული ინფორმაციის გადამისამართება არ ხდება არც ერთ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურაში, ვინაიდან კონფიდენციალურად ითვლება როგორც პირის ვინაობა ასევე მისი შემთხვევის ირგვლივ არსებული ყველა დეტალი. ზარების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა წარმოებს სპეციალურ ჟურნალში, საიდანაც შემდგომ ხდება სტატისტიკური მონაცემების დამუშავება. კონსულტაცია უფასოა და მთელს საქართველოს უწევს მომსახურებას, თუმცა ამჟამად, კანონში ცვლილებების შესვლის შედეგად ცხელი ხაზის მომსახურება კიდევ უფრო გაუმჯობესდება და უფასო გახდება, ასევე დაემატება მომსახურება რეგიონების მიხედვით.[9]

9 საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 21. 11 პუნქტი

2013–2014 წლების მანძილზე ცხელი ხაზის მეშვეობით ყველაზე ხშირად ფიზიკური ძალადობის ფაქტები იქნა დაფიქსირებული, შეტყობინებების სიხშირის მიხედვით, შემდეგი არის ფსიქოლოგიური ძალადობა, რასაც მოსდევს სექსუალური და ეკონომიკური ძალადობა და ბოლოს იძულება. ყველაზე ხშირად ძალადობის ფაქტის შეტყობინების მიზნით რეკავენ ქალები, შემდეგ მეზობლები ან ნათესავები, ხოლო მამაკაცები და ბავშვები ძალიან იშვიათად მიმართავენ ამ მომსახურებას. ზარების ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის.

ცხელი ხაზის თანამშრომლებისთვის რამდენჯერმე ჩატარდა შიდა ტრენინგები, დასაქმებულები პროფესიით იურისტები არიან.

ცხელი ხაზის სრული მონიტორინგისათვის აუცილებელია ზარების შემოწმება ე.წ მისტიური მომხმარებლის მეთოდის გამოყენებით, იმისათვის, რომ პრაქტიკაში შემოწმდეს ზარებზე მოპასუხეთა კვალიფიკაცია და კონსულტირების ეფექტურობა.

რეკომენდაციები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს

ხელი შეეწყოს ცხელი ხაზის სერვისის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, განსაკუთრებით რეგიონებში;

- ხელი შეეწყოს ცხელი ხაზის მომსახურების ხელმისაწვდომობას ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისათვის;
- გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები ცხელი ხაზის სერვისის უფასო ხელმისაწვდომობისთვის ყველა მობილური ოპერატორისა თუ რეგიონული სატელეფონო სერვისებისათვის;

ქალთა მკვლელობების (ფემიციდი) მონიტორინგი

ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმაა ქალთა მკვლელობები, რომელიც ფემიციდის სახელითაა ცნობილი.

ფემიციდის დეფინიცია
ფემიციდი, ზოგადი განმარტებით, არის ქალის განზრახ მკვლელობა, მისი სქესის გამო. ფემიციდი თითქმის ყოველთვის ჩადენილია მამაკაცის მიერ და გამოირჩევა სპეციფიურობით, ყველაზე ხშირად ასეთ დანაშაულს სჩადის ქალის პარტნიორი ან ყოფილი პარტნიორი და მის წინაპირობად გვევლინება ოჯახში ძალადობა, მუქარა და დაშინება, სექსუალური ძალადობა და ისეთი მდგომარეობა როდესაც ქალს აქვს გაცილებით ნაკლები რესურსები ვიდრე მის პარტნიორს და მეტ წილად არის დამოკიდებული მასზე.

2014 წელი განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა ქალთა მკვლელობების რიცხოვნობიდან გამომდინარე. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი მთელი წლის მანძილზე თვალყურს ადევნებდა შესაბამისი სტრუქტურების საქმიანობას ქალთა უფლებების დაცვის კუთხით და დეტალურად შეისწავლა ფემიციდის ფაქტების ამსახველი სტატისტიკური მონაცემები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[10], 2014 წელს მოკლულია 34 ქალი. აქედან ქმრის, ყოფილი ქმრის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის (პარტნიორის) მიერ მოკლულია 13 ქალი, (სსკ 108, 109, 117 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული), ასევე დაფიქსირდა მამამთილის მიერ რძლის მკვლელობის ერთი და შვილის მიერ დედის მკვლელობის ორი შემთხვევა. 2014 წელს ოჯახში ქალის მიმართ ჩადენილი იქნა 17 მკვლელობა. საქართველოს სსკ 108–109 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული (არა ოჯახურ გარემოში) ჩადენილია 17 ქალის მიმართ.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[11], მომხდარი 17 დანაშაულებრივი ფაქტიდან სასამართლო განხილვა დასრულდა 9 საქმეზე, ხოლო 3 საქმეზე არსებითი განხილვა მიმდინარეობს. 5 საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა სხვადასხვა საფუძვლით (ერთი – ბრალდებულის გარდაცვალებით, ორი – ბრალდებულის თვითმკვლელობით და ორი – ბრალდებულის შეურაცხადობით).

არსებული ინფორმაციის პირობებში რთულია სრულად შეფასდეს თუ რამდენი დანაშაული იქნა ჩადენილი გენ-

10 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; #541888/ #541934 / 12.03.2015

11 საქართველოს მთავარი პროკურატურა; #13/16016; 17/03/2015

დერული ნიშნით, ვინაიდან მათი ასეთი ფორმით კლასიფიცირება არ ხდება. შემთხვევების შესწავლის დროს ხშირად არ არის მითითებული გარდაცვლილსა და მკვლელს შორის არსებული კავშირები ან დანაშაულის მოტივი, რაც უფრო ცხადად წარმოაჩენდა მკვლელობების ხასიათს. თუმცა ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ 2014 წელს გარდაცვლილ ქალთა 50% მოკლულია ოჯახში ძალადობის შედეგად:

ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაული სხვა ფაქტებთან მიმართებაში



ასეთი პროცენტული გადანაწილება საკმაოდ საშიშ ტენდენციაზე მიუთითებს. როგორც უკვე აღინიშნა ოჯახში ქალის მკვლელობას ხშირად წინ უსწრებს ძალადობა. თავისთავად, მასალების სიმწირიდან გამომდინარე რთულია იმის მტკიცება, თუ რამდენად იყო შესაძლებელი ლეტალური შედეგების თავიდან აცილება, თუმცა სავარაუდოა, რომ კონფლიქტი არსებობდა მკვლელობამდეც და ვერავინ შეძლო ამ ქალების დაცვა.

ოჯახური დანაშაულების ასეთი მაღალი მაჩვენებელი მიგვანიშნებს არა კრიმინალიზაციის მაღალ ტენდენციაზე, არამედ სწორედ გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მაღალ მაჩვენებელზე. შესწავლის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მკვლელობების 94% კაცის მიერ არის ჩადენილი:

დანაშაულის ჩამდენი პირი



სხვადასხვა კვლევის შედეგი აჩვენებს, რომ ფემიციდის ჩამდენი პირები ძირითადად კაცები არიან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პატიმარი კაცების თანაფარდობა ქალებთან მიმართებაში არის 97%-3%–თან[12] რაც ზოგადად კაცების ქალებთან შედარებით მაღალი კრიმინალიზაციის ხარისხზე მიუთითებს. თუმცა ძალიან მნიშ-

12 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო/ 2013წ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14214085111.pdf (ნანახია 08.04.2015)

ვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ ქალის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა (მკვლელობათა) უმრავლესობა ჩადენილია პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სახეზე გვაქვს ინტიმური ანდა ღირსების სახელით ჩადენილი ფემიციდი. ეს უკანასკნელი კი, რაც ყველაზე სამწუხაროა, ხშირად საზოგადოების მხრიდან თანაგრძნობას იწვევს მოძალადის მიმართ.

ინტიმურ ფემიციდს ან ჰომიციდს უწოდებენ ქალის მკვლელობას, რომელიც ჩადენილია პარტნიორის ან ყოფილი პარტნიორის მიერ. 2012 წლის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კვლევა ფემიციდის შესახებ გვიჩვენებს[13], რომ მოკლული ქალების 35% სწორედ ინტიმური პარტნიორის მსხვერპლია მაშინ როცა მამაკაცების მხოლოდ 5% არის ქალი პარტნიორის მიერ მოკლული. იგივე კვლევის თანახმად, მთელს მსოფლიოში მკვლელობების 15% ინტიმური ჰომიციდი შეადგენს. თუმცა აღნიშნული მონაცემები არასრულია, დეტალური ინფორმაციის დანაკლისის გამო. ასევე აღსანიშნავია დაკვირვება, რომ ქალის მიერ ინტიმური პარტნიორის მკვლელობა ხშირ შემთხვევაში არის თავდაცვის შედეგი, როდესაც მსხვერპლი ცდილობს თავი დააღწიოს ან გაუმკლავდეს ძალადობას. საქართველოში ინტიმური პარტნიორის მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:

13 Understanding and addressing violence against women/Femicide/World Health Organization 2012

ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირიები



როგორც უკვე აღინიშნა, მონაცემები შესაძლოა არასრული იყოს, ვინაიდან სხვა, არა ოჯახში მომხდარი მკვლელობების დროს ხშირად არ არის აღწერილი პირებს შორის კავშირები, თუმცა უტყუარია ინფორმაცია, რომ 2014 წელს მეუღლის ან ყოფილი მეუღლის მკვლელობა ჩადენილია 13 მამაკაცისა და 1 ქალის მიერ. ეს მონაცემები ეხმიანება მთელს მსოფლიოში არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს და ნათლად აჩვენებს, რომ ქალთა დაცვის ღონისძიებები, მათი როლი და მნიშვნელობა გასაძლიერებელია.

ოჯახში ძალადობის შედეგად მოკლულ პირთა სქესიც იგივე ტენდენციაზე მიუთითებს, გარდაცვლილია 17 ქალი და 8 კაცი, ნათელია, რომ ოჯახში ქალები გაცილებით უფრო მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, თუმცა დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის ორივე სქესის მკვლელობის შემთხვევაში მამაკაცები ჭარბობენ:

კაცის მიმართ ოჯახში დანაშაულის ჩამდენი პირები სქესის მიხედვით



გარდაცვლილი პირები სქესის მიხედვით



სრული მონაცემების განხილვისთვის ასევე წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს ოჯახში ძალადობის შედეგად გარდაცვლილი პირების ნათესაური კავშირის მიხედვით, აღნიშნული მონაცემების ცხადყოფს, რომ ყველაზე ხშირად – 56% მსხვერპლი არის ქალი:

ნათესაური კავშირების მიხედვით



ღირსების სახელით ჩადენილი მკვლელობა, როგორც წესი არის მამაკაცის მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელიც ეჭვიანობის ნიადაგზე ხდება და ხშირად მიზნად ისახავს ეგრეთ წოდებული „ოჯახის ღირსების“ დაცვას და კულტურულ ასპექტებს უკავშირდება. სწორედ ასეთი ტიპის რამდენიმე მკვლელობა დაფიქსირდა 2014 წელს.

აღნიშნული დანაშაული გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკით, როგორც უკვე აღინიშნა ქალებს კლავენ იმისთვის, რომ ისინი ქალები არიან და არსებული ფსევდო ადათ–წესებიდან გამომდინარე საპირისპირო სქესი თვლის, რომ განსაკუთრებული ძალაუფლება აქვს მათზე, შეუძლია გადაწყვიტოს მათი ბედი, მხოლოდ იმიტომ, რომ „გადაარჩინოს“ საკუთარი სახელი, ან უბრალოდ თავიდან აიცილოს მისთვის არასასურველი ქცევა.

ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც ქალთა მკვლელობების გაანალიზების დროს გვხვდება არის რისკ ჯგუფების გამოკვეთა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას თავის პუბლიკაციებში აღწერილი აქვს მსხვერპლისა და მოძალადის (მკვლელის) დამახასიათებელი თავისებურებები, რომელიც ლეტალური დასასრულის მაღალ ალბათობაზე მიგვანიშნებს. ასევე აშშ–ში მეცნიერების მიერ შემუშავებულია სპეციალური კითხვარი[14] – საფრთხის შეფასებისთვის, რომელიც დიდი ალბათობით ადგენს პარტნიორის მიერ მსხვერპლის მკვლელობისკენ მიდრეკილებას. შესაძლებელია რისკის შემცირების მიზნით აღნიშნული ან მსგავსი მექანიზმების დანერგვა საქართველოში, რათა შესაძლებელი გახდეს სავარაუდო მსხვერპლის დროული იდენტიფიცირება და დახმარების აღმოჩენა.

განვიხილეთ 2014 წელს მოკლულ ქალთა ასაკობრივი ჯგუფები, ყველაზე მოწყვლად ჯგუფს 65 წელს გადაცილებული ქალები წარმოადგენენ, რაც ხანდაზმულთა დაუცველობის მაღალი ხარისხით არის განპირობებული. ისინი სამწუხაროდ ყველაზე იშვიათად სარგებლობენ დაცვის მექანიზმებით, ასევე მათი თვითგადარჩენისთვის ბრძოლისუნარიანობა დაბალია და შესაბამისად ყველაზე ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლები.

გარდაცვლილთა ასაკობრივი განაწილება



14 Assessing Risk Factors for Intimate Partner Homicide/ Jacquelyn C. Campbell, Daniel Webster, Jane Koziol-McLain, Carolyn Rebecca Block, Doris Campbell, Mary Ann Curry, Faye Gary, Judith McFarlane, Carolyn Sachs, Phyllis Sharps, Yvonne Ulrich, and Susan A. Wilt

თუმცაღა ოჯახში ძალადობის შედეგად პარტნიორის ან ყოფილი პარტნიორის მიერ მოკლულ ქალთა შორის ყველაზე ხშირად 35–39 წლის ქალები გახდნენ მსხვერპლები.

ასაკობრივი ჯგუფები



იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას ფემიციდი და შემცირდეს ქალთა მკვლელობები აუცილებელია ზუსტი მონაცემების შეგროვება და ანალიზი, რომელიც კიდევ უფრო დეტალურ სურათს დაგვანახებს და გამოკვეთს საქართველოსათვის დამახასიათებელ ტენდენციებს. მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით უნდა მოხდეს შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა, იმისათვის, რომ ეფექტურობა გარანტირებული იყოს. დეტალური მონაცემების შეგროვებაში მიზანმიმართულად უნდა ჩაერთონ როგორც სამართალდამცავი სტრუქტურები, ასევე ჯანდაცვის ორგანოები და სასამართლო. აუცილებელია მათი სენსიტიურობის ამაღლებაზე მუშაობა რათა შეძლონ პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება. აქვე უნდა აღინიშნოს ზოგადად საზოგადოების როლი და მნიშვნელობა ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევის პროცესში.

ხშირად, ძალადობის ფაქტის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილია, თუმცა, ერიდება სამართალდამცავების ინფორმირებას და მსხვერპლს ამით მოძალადის პირისპირ ტოვებს. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებების საკითხში კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მოხდეს პრევენცია და ტრაგიკული შემთხვევების შემცირება. ჯერჯერობით, პრაქტიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი კონკრეტული მკვლელობის შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელიც გახმაურდა მედიასაშუალებების მეშვეობით, საზოგადოება მსხვერპლის ბრალეულობაზეც კი საუბრობდა და რიგ შემთხვევებში ამართლებდა კიდეც მოძალადეს. ძალადობის მოტივიც, ძირითადად, გენდერული უთანასწორობის შედეგად არის წარმოქმნილი. ყოფილი ქმრების მხრიდან მკვლელობების შემთხვევაში,

საუბარი იყო ეჭვიანობაზე და მამაკაცის ღირსების დაცვაზე, იმ დროს, როდესაც არავინ საუბრობს ქალთა უფლებებზე და მათი თავისუფლად არსებობის პირობებზე. შესწავლის პროცესში გამოიკვეთა ორი შემთხვევა, როდესაც გარდაცვალებამდე მსხვერპლს მიმართული ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოებისთვის ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა, მათი მხრიდან სათანადო რეაგირება არ განხორციელებულა. ასევე დაჭრის ერთი შემთხვევა, როდესაც პოლიციისადმი მსხვერპლს მიმართული ჰქონდა. მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევებმა ნათლად დაგვანახა, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს დამცავი მექანიზმების უგულებელყოფამ და ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების შესაბამისი რეაგირების გარეშე დატოვებამ.

აუცილებელია ინტენსიური მუშაობა იმისათვის, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება კიდევ უფრო გააქტიურდეს და სამართალდამცავმა ორგანოებმა გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით. მითუმეტეს, რომ 2013 წელთან შედარებით 2014 წელს 62%–ით მეტი ქალი იქნა მოკლული, მათ შორის 57%–ით მეტი მეუღლის მიერ ცოლის მკვლელობის შემთხვევა მოხდა, ხოლო ოჯახში ჩადენილი დანაშაული ქალის მიმართ (მკვლელობა) 53% –ით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით[15]. ქალთა ფემიციდის მზარდი სტატისტიკა შემაშფოთებელია და განსაკუთრებით ყურადსაღები უნდა იყოს სამართალდამცავი თუ სხვა შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურისათვის. მონაცემების დამუშავებითა და ხარვეზების გამოვლენის შედეგად უნდა შემუშავდეს პრევენციული ღონისძიებები და დანაშაულის თავიდან აცილების გზები.

2013-2014 წლების შედარებითი მონაცემები



15 მონაცემები დამუშავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 22.01.2014 წლის #138331 კორესპონდენციით მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საკითხის შესწავლა ცხადყოფს, რომ გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის განსაზღვრისა და შესაბამისად, კვალიფიკაციის პრაქტიკის არარსებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ მიმართულებით კი საჭიროა სიღრმისეული კვლევა და ანალიზი. მომხდარი ძალადობრივი ფაქტების შედეგად იკვეთება, რომ დანაშაულის ჩადენა მოტივირებული იყო სწორედ გენდერული უთანასწორობით, ქალის გენდერულ როლზე არსებული შეხედულებითა და სტერეოტიპული დამოკიდებულებით. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია, რომ დაინერგოს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების შეფასებისა და ანალიზის პრაქტიკა.

ოჯახში ძალადობის შედეგად ჩადენილი თვითმკვლელობები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა შეისწავლა ქალთა თვითმკვლელობის ის შემთხვევები, სადაც გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სისტემატიური ხასიათის ოჯახში ძალადობა გახდა შესაძლო მიზეზი. შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ ხშირად, მათი, როგორც თვითმკვლელობამდე მიყვანის კვალიფიკაცია ვერ ხორციელდება, რადგან ძალადობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოებისთვის გარდაცვალებამდე ცნობილი არ ხდება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან სსკ 115–ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) გათვალისწინებული რეგისტრირებული დანაშაული წარმოადგენს მონაცემთა დიდ მოცულობით მასივს, მათი დეტალური დამუშავება ვერ ხდება.[16] შესაბამისად მათ ვერ შეძლეს აღნიშნული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

2014 წლის 19 მარტს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა 16 წლის გოგონას თვითმკვლელობის ფაქტი, რომლის სავარაუდო მიზეზი მშობლების მხრიდან იძულებითი ქორწინებისგან თავის არიდება გახდა. შსს-ს თელავის რაიონულ სამმართველოში შეწყდა გამოძიება აღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. მიუხედავად ამისა, საინფორმაციო საშუალებების თანახმად, ჩადენილი თვითმკვლელობის წინაპირობა ძალადობა ან იძულებითი ადრეული ქორწინება იყო.

2014 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა ხ.ჯ–ს თვითმკვლელობის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარდაცვლილი მთელი სოფლის დასანახად ქმრის ნათესავებმა სასტიკად სცემეს, რის შემდეგაც მან თავი ჩამოიხრჩო. შსს–ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს კორესპონდენციით გვეცნობა, რომ ზემოაღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, 2014 წლის 28 სექტემბერს სისხლის სამართლის საქმეზე - ხ.ჯ–ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე შეწყდა გამოძიება. თუმცა, მედიასაშუალებების მეშვეობით გამოიკვეთა ფაქტები, რომლებიც გამოძიებისთვის აქამდე ცნობილი არ იყო. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე კვლავ განახლდა გამოძიება, რომელიც დღემდე მიმდინარეობს.

2014 წლის 16 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა 21 წლის გ.უ.–ს თვითმკვლელობის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილს სისტემატური კონფლიქტი ჰქონდა ქმართან, რომელიც მასზე ფიზიკურად ძალადობდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. თბილისის ისანი–სამგორის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე-

16 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო #541934; 12/03/2015

გ.უ.–ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე. გამოძიების თანახმად, ოჯახში ძალადობის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. ამასთანავე, გარდაცვლილის ან მისი ნათესავების მხრიდან პოლიციის რაიონულ განყოფილებაში ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, რაიმე სახის შეტყობინება არ შესულა.

ზემოაღნიშნული და სხვა ჩვენ მიერ შესწავლილი თვითმკვლელობის შემთხვევები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ქალთა მიმართ ძალადობის კიდევ ერთი უმძიმესი შედეგი თვითმკვლელობამდე მიყვანაა, ხოლო ყველაზე სამწუხარო ტენდენცია დანაშაულის ჩამდენის დასჯის სირთულეებია, ვინაიდან ფაქტების არარსებობის გამო გამოძიება წყდება. ისევ ვუბრუნდებით საზოგადოების დამოკიდებულებას ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. ხშირად იკვეთება, რომ მეზობლებისა თუ ნათესავებისთვის ცნობილი იყო შესაძლო ძალადობის ფაქტების შესახებ; თუმცა, ისინი უარს აცხადებენ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე და დუმილს ირჩევენ. შედეგები, როგორც ნათელი გახდა, სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით და დანაშაულის შეუტყობინებლობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები იქნას გამოყენებული იმ შემთხვევებში, სადაც იკვეთება, რომ პირისთვის ცნობილი იყო ძალადობის ფაქტი და უარს აცხადებს შესაბამისი სტრუქტურებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- დაიგეგმოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებები რათა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს მათი როლის მნიშვნელობა ძალადობის მსხვერპლ პირთა გადარჩენის პროცესში
- დაინერგოს რისკის შეფასების მეთოდოლოგია, რაც შესაძლებლობას მისცემს შესაბამის სტრუქტურებს დროულად მოახდინონ იდენტიფიცირება და თავიდან აიცილონ დანაშაული
- მოხდეს ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის, მკვლელობების სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა იმგვარად, რომ კანონით გათვალისწინებული ნათესაური კავშირები ნათელი იყოს ყველა შემთხვევის დაფიქსირების შემდეგ
- მოხდეს ქალთა თვითმკვლელობამდე მიყვანის შემთხვევების სტატისტიკური მონაცემების წარმოება და ფაქტის ირგვლივ არსებული საჭირო მონაცემების ანალიზი, რათა მომავალში პრევენციული ღონისძიებების დახვეწა გახდეს შესაძლებელი

საქართველოს პროკურატურას

- განხორციელდეს ქალთა მკვლელობების სიღრმისეული ანალიზი მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებში გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების განსაზღვრისა და შესაბამისი რეაგირებისათვის
- გაგრძელდეს მუშაობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით. მოხდეს დანაშაულის შეუტყობინებლობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გამოყენება იმ შემთხვევებში, როდესაც პირისთვის ცნობილი იყო ძალადობის ფაქტის შესახებ და უარს აცხადებს შესაბამისი სტრუქტურებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე

ოჯახში ძალადობისაგან დამცავი მექანიზმების შეფასება

ოჯახში ძალადობისაგან დამცავი მექანიზმების ეფექტურობის შესაფასებლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ორი ტიპის შესწავლა განახორციელა. 2013 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა შემაკავებელი და დამცავი ორდერების მოქმედების ეფექტურობა შეფასება, რომლის დროსაც გამოყენებული იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდი. კერძოდ, ინდივიდუალური ინტერვიუირება (18) და ფოკუს-ჯგუფები (13), რომელიც ჩატარდა, როგორც თბილისში ასევე საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში (ზუგდიდი, ახალციხე, ბათუმი, თეთრიწყარო და თელავი). ხოლო 2014 წელს საქართველოს ყველა საერთო და მაგისტრატი სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა 2014 წელს დამტკიცებული დამცავი და შემაკავებელი ორდერების ასლები, რომელთა ანალიზის საფუძველზე მომზადდა სტატისტიკური კვლევა და გამოიკვეთა არსებული ტენდენციები.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

2014 წელს საქართველოს მასშტაბით გამოცემულია 87 დამცავი და 902 შემაკავებელი ორდერი, დამტკიცებაზე კი უარი ეთქვათ ან სხვა კანონით გათვალისწინებული მიზეზების გამო არ დამტკიცდა 4 დამცავი ორდერი და 17 შემაკავებელი ორდერი.

დამტკიცებული დამცავი და შემაკავებელი ორდერების დეტალური სტატისტიკა ასე გამოიყურება:

სულ 902 შემაკავებელი ორდერი



სულ 87 დამცავი ორდერი



ასევე, საინტერესოა შესაბამისი სამსახურების რეაგირება შემაკავებელი და დამცავი ორდერის პირობების დარღვევის ფაქტებზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფების მონაცემების თანახმად, 2014 წელს, 10 თვის მონაცემებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175[2] მუხლის პირველი ნაწილით, რეგისტრირებულია 66 სამართალდარღვევა, მეორე ნაწილით – 32 სამართალდარღვევა[17]. ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381[1] მუხლით (დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ხუთი[18] პირის მიმართ. გენდერული ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემები, შემაკავებელი ორდერისთვის შემდეგნაირია:

მოძალადის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდენების მიხედვით



17 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; #176433 / 26.01.15 /#564736; 16.03.2015

18 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ;#176433 / 26.01.15 # 564736 / 16.03.15

როგორც ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებში, ამ შემთხვევაშიც ნათელია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობა ქალები არიან, ხოლო მოძალადედ ყველაზე ხშირად – 96% კაცები გვევლინებიან. ეს სტატისტიკა შეესაბამება სხვა ქვეყნებში არსებულ ვითარებასაც და მიანიშნებს გენდერული უთანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე ქალთა მიმართ ძალადობრივ დამოკიდებულებაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს მაგისტრატი სასამართლოები (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) დამცავი და შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე საქმეებს არ განიხილავენ. შემაკავებელი ორდერი გამოსცა მხოლოდ მარნეულის მაგისტრატმა სასამართლომ – 6, ბორჯომის მაგისტრატმა სასამართლომ – 1 და ხონის მაგისტრატმა სასამართლომ –1.

ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს, ყველაზე ხშირად, პარტნიორის მხრიდან ძალადობის ფაქტები გვხვდება. თუმცა, ასევე ხშირია ყოფილი პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევები. შემაკავებელი ორდერების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:



როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალების მიმართ გამოცემული ორდერები მნიშვნელოვნად მცირეა და მოძალადეები ძირითადად მამაკაცები არიან.

დამცავი და შემაკავებელი ორდერების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ყველაზე ხშირად მათი გამოცემა ხდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ერთობლივად არსებობის დროს (სულ 881) ყველაზე იშვიათად კი სექსუალური ძალადობის შემთხვევების შეტყობინება ხდება, ამ ფორმის ძალადობაზე მხოლოდ 7 შემაკავებელი ორდერია გამოცემული.



თვალშისაცემია შემაკავებელი და დამცავი ორდერების შეფარდება, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების დროს გამოცემული შემაკავებელი ორდერები 91%–ით აღემატება დამცავი ორდერების რაოდენობას (შეფარდებაში 9%).

თავისთავად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემაკავებელი ორდერის ვადის გასვლის შემდეგ, ყველას არ აქვს უფრო ხანგრძლივი დამცავი მექანიზმების გამოყენების სურვილი, თუმცა ამდენად განსხვავებულ მაჩვენებელს მექანიზმების (ორდერების) გამოცემისა და დამტკიცების წესები განაპირობებს. შემაკავებელი ორდერი საპატრულო პოლიციის მიერ მსხვერპლის დასაცავად განხორციელებული პროაქტიული ღონისძიებაა, რომელსაც მათ კანონი ავალდებულებს, ხოლო დამცავი ორდერის მოსაპოვებლად პირმა თავად (ან დამხმარე პირების მეშვეობით) უნდა მიმართოს სასამართლოს. ამ პროცედურის არსებობის შესახებ ბევრმა მოქალაქემ არც კი იცის. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება აღნიშნული მიმართულებით კიდევ უფრო გააძლიერებდა მსხვერპლთა დაცვასა და პრევენციული ღონისძიებების დანერგვას.



მონაცემების დამუშავების პროცესში ასევე საინტერესო იყო ასაკობრივი ჯგუფების განაწილება. შედეგებმა ცხადყო, რომ მკვლელობების სტატისტიკის მსგავსად ოჯახში ძალადობის დროს ყველაზე მაღალის რისკის ჯგუფი 35-49 წლამდე ასაკის პირები არიან:

ასაკობრივი ჯგუფები



შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი გადანაწილება განპირობებულია ამ ასაკობრივი ჯგუფის შედარებით მაღალი მიმართვიანობით, ვინაიდან მონაცემები ეყრდნობა გამოცემულ დამცავ და შემაკავებელ ორდერებში მითითებულ მსხვერპლთა ასაკს. ანუ 35–49 ასაკის პირები მეტად მიმართავენ სამართალდამცავებს ვიდრე სხვა ჯგუფები. შესაბამისად, აუცილებელია მუშაობა წარმართოს ორი მიმართულებით: მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ყველა ასაკობრივი ჯგუფის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა პირების გაძლიერება და დადგენილი რისკ–კატეგორიის გაძლიერება.

დამცავი მექანიზმების კვლევის შედეგები

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შემაკავებელი და დამცავი ორდერების მოქმედების ეფექტურობა შეაფასა. შეფასებისას გამოიყენა თვისობრივი კვლევის მეთოდი. კერძოდ, ინდივიდუალური ინტერვიუირება (18) და ფოკუს-ჯგუფები (13), რომელიც თბილისში, ზუგდიდში, ახალციხეში, ბათუმში, თეთრიწყაროში და თელავში ჩატარდა. კვლევაში სულ 62-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.

ინტერვიუები მიზნად ისახავდა დეტალური ინფორმაციის მიღებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მომუშავე ყველა იმ ერთეულისგან, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება და შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ შემაკავებელი და დამცავი ორდერების ეფექტურობაზე. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მკვლევარებმა გამოიყენეს მიზნობრივი შერჩევის (PURPOSIVE SAMPLING) მეთოდი. კერძოდ, მკვლევარებმა სახელმწიფო უწყებების დახმარებით, შეარჩიეს ის პროფესიონალები, რომელთაც ჰქონდათ აღნიშნულ საკითხზე მუშაობის გამოცდილება, საქართველოს რეგიონების მიხედვით. მათ შორის:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს წარმომადგენლები;
- პირველი ინსტანციის მოსამართლეები;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პროკურატურის წარმომადგენლები;
- საქართველოში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნიათ მსხვერპლთათვის მომსახურების გაწევის გამოცდილება;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, რომლებიც სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრებში ცხოვრობენ.

მიღებული მონაცემები დამუშავდა თვისობრივი ანალიზის მეთოდით (Constant Comparative analisis, Glaser & Strauss[19]),

ოჯახში ძალადობის შემთხვევათა იდენტიფიცირება

როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო, ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა გართულებულია უპირველესად მისი საკანონმდებლო განსაზღვრების განმარტების პრობლემურობის გამო. თურას გულისხმობს „ოჯახში ძალადობა“, იმთავითვე ხელს უშლის სამართალდამცავს მოახდინოს დროული და ადეკვატური რეაგირება.

19 Glaser, B. G., & Strauss, A. L. (1967). The Discovery of Grounded Theory: Strategies for Qualitative Research. New York: Aldine Publishing Company.

სამართალდამცავთა მოსაზრებით, მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების გატარების პირველი ხელშემშლელი მიზეზია ოჯახში ძალადობის, როგორც მოვლენის შეუსწავლელი ხასიათი და მისი არასაკმარისად დეტალური ასახვა ქართულ კანონმდებლობაში. გამოკითხული ყველა სამართალდამცავი, როგორც პატრულ–ინსპექტორები ასევე უბნის ინსპექტორები განასხვავებენ ორ ცნებას, კონფლიქტსა და ძალადობას, თუმცა მათ გამიჯვნას, ობიექტური კრიტერიუმებით, მათი სრული უმრავლესობა ვერ ახდენს. მათი გადმოცემით სპეციალურ კანონში ჩადებული ოჯახში ძალადობის განმარტება საკმაოდ ფართოა და მოიცავს როგორც ემოციურ ისე სხვა ტიპის ძალადობის შესაძლებლობას, რომელიც ასევე ფიქსირდება ოჯახური კონფლიქტის მომენტში. შესაბამისად, შემთხვევის ადგილზე მისვლისას, ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტენ, კონფლიქტს მიეკუთვნება შემთხვევა თუ ოჯახში ძალადობას.

სამართალდამცავთა მეორე ჯგუფის აზრით, გამიჯვნა უნდა მოხდეს გამოწვეული შედეგის ხასიათის მიხედვით, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თავად ეს შედეგიც ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ხშირად დაბნეულობას იწვევს მათში. იყო შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავები ცნებებს „ოჯახური კონფლიქტი“ და „ოჯახში ძალადობა“ სინონიმებად იყენებენ, რაც არ შეესაბამება შემთხვევებზე რეაგირების ინსტრუქციას.

ასეთივე პრობლემა დაფიქსირდა ოჯახში ძალადობის საკითხის ადმინისტრაციულ სამართლებრივი წესითა და სისხლის სამართლებრივი წესით მოკვლევის გამიჯვნის თაობაზე. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა განცხადებით, სპეციალურ კანონში არსებული განმარტება ოჯახში ძალადობის შესახებ, იმდენად ემთხვევა სისხლის სამართლის მატერიალურ ნაწილში არსებულ განმარტებას ოჯახში ძალადობის დანაშაულის შესახებ, რომ მათი თეორიული გამიჯვნა ფაქტობრივად შეუძლებელია. ხშირ შემთხვევაში ისინი ინფორმირებული არ იყვნენ სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმების ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობაზე.

მოსამართლეთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ გამიჯვნის პრობლემა არ დგას, თუ საკითხს სწორი კუთხით წარმოვაჩენთ. მათი მოსაზრებით, ორდერებს აქვთ არა სანქციის მნიშვნელობა, არამედ მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, რათა მოხდეს მომავალი დანაშაულის პრევენცია. მათივე პოზიციით, ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხი უკავშირდება უკვე მომხდარი, წარსული ფაქტის შეფასებას, ხოლო შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემა/დამტკიცება აწმყოში კონკრეტული კრიზისის განეიტრალებას და მომავალში მსხვერპლის დაცვის ინტერესს. მოსამართლეთა აზრით, პრაქტიკოსმა მუშაკმა ეს გამიჯვნა, საზოგადოებაში გამყარებული სტერეოტიპებისგან საკუთარი პროფესიული მსჯელობის გათავისუფლების გზით უნდა განახორციელოს:

„პოლიციელმა ძალიან მარტივად უნდა შეხედოს ამ საკითხს, წარმოიდგინოს რომ ის არ იმყოფება ოჯახში, იმყოფება კერძო პირებს შორის [სხვა გარემოში] და გათიშოს ფიქრის ის ნაწილი ტვინში რაც აქამდე ჰქონდა ჩართული – „ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტი ჩვენი საქმე არ არის”. ჩვენ წარმოებაშიც

გვქონია საქმე, როდესაც პატრული პირდაპირ ამბობს „როცა ცოლ-ქმარი კამათობს მე ვინ მეკითხება, მე წავედი გავიარე". თუ ის შეხედავს სახლში არსებულ სიტუაციას ისე როგორც სხვა კერძო პირებს შორის მომხდარ ამბავს, ჩემი აზრით მარტივად დაინახავს აქ დანაშაულის ნიშნებია თუ კინკლაობაა, რაღაცა მცირედი შეკამათება."

სამართალდამცავთა გარკვეულ რაოდენობას მიაჩნია რომ ერთჯერადი კონფლიქტი, არ არის ძალადობა. არამედ საჭიროა რომ იგი რამდენჯერმე განმეორდეს. უფრო მეტიც, ისინი ფიქრობენ, რომ კონფლიქტის ძალადობისგან გამიჯვნას, ანუ ფაქტის შეფასებას, მოხდა თუ არა რეალურად ძალადობა, სხვა ორგანიზაცია თუ ინსტიტუტი უნდა ადგენდეს:

„ჩემი ახსნა არ დაგჭირდებათ, რომ ძალადობა არ არის ერთჯერადი კონფლიქტი და ერთჯერადი ჩხუბი, მას სტატუსის მინიჭება უნდა და ამას დადგენა, რომ ერთი მხარე მეორესთან ნამდვილად მართალია და რამდენად არის იგი [ძალადობის] მსხვერპლი. ოჯახური ძალადობა ხშირია, ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფა, ან თუნდაც ერთი გარტყმის, [ერთი] ცემის ფაქტი, მაგრამ [იმის განსაზღვრას თუ] რამდენად არის ეს ძალადობა და სტატუსის მინიჭებას, ამას კომპეტენტური პირი სჭირდება, ორგანიზაცია რომელიც ამას ნამდვილად დაადასტურებს."

აღნიშნულს ცხადყოფს ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მიერ მოწოდებული ინფორმაციაც. სავარაუდოდ, სწორედ მოვლენის ვერ ამოცნობის და განსაზღვრის სირთულის გამო, ადგილი ჰქონდა უმოქმედობას. კერძოდ, სამართალდამცავები მრავალჯერადად ავსებინებდნენ მოძალადეს ე.წ. კონფლიქტის ბარათს, არ ხდებოდა შემაკავებელი და დამცავი ორდერების თუ სხვა ღონისძიების გამოყენება, რაც კიდევ უფრო აღრმავებდა და ახანგრძლივებდა კონფლიქტს.

ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირება

ოჯახში ძალადობის მსხვერპლების ერთი ჯგუფი აღნიშნავდა, რომ რიგ შემთხვევაში რეაგირება პატრულის მიერ დროულად ხორციელდებოდა, ისინი შეტყობინებიდან რამდენიმე წუთში ცხადდებოდნენ ადგილზე. რიგ შემთხვევებში პატრულისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლები პატივისცემით ეპყრობოდნენ და მორალურად ამხნევებდნენ მსხვერპლებს. პატრულის მხრიდან პრო-აქტიულად განხორციელებული მხარდაჭერის საუკეთესო პრაქტიკა დაფიქსირდა აჭარის რეგიონში. როგორც მსხვერპლი აღნიშნავდა პატრულის თანამშრომელი მას არა მხოლოდ მიმართვის შემთხვევაში უწევდა დახმარებას, არამედ თავადაც უკავშირდებოდა, რათა დარწმუნებულიყო მსხვერპლის უსაფრთხოებაში:

„მართლა ყველანაირად მეხმარებოდნენ... პირიქით ისე დამეხმარა. სასამართლოზეც მიშუამდგომლა პატრულის თანამშრომელმა. მირეკავდა ხოლმე, თუ რამე გაგიჭირდეს ან გეშინოდეს დაგვირეკეო. ყველანაირად გვერდში გვედგნენ. ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ რამეში ყურადღება არ მომაქცია. მე ბევრჯერ მივსულვარ და მადლობა გადამიხდია მათთვის".

თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავები ავლენდნენ

გულგრილობას ან ითავსებდნენ მრჩეველის როლს და მსხვერპლებს დაჟინებით ურჩევდნენ მოძალადესთან ურთიერთობის მოწესრიგებას:

„ორჯერ პოლიციაც მყავდა გამოძახებული შარშან რადგან ხშირი გახდა ძალადობა, თითქმის ყოველ დღე მქონდა თვალი ან ყური დალურჯებული. ერთხელ ქუჩაში მცემდა ქმარი და შემეჩეხა გზაში პოლიცია, მე ვთხოვე წაგვიყვანეთ თქო. 3 დღე დააკავეს ჩემი ქმარი. პოლიცია დაცინვის მანერით იქცეოდა, მე ვუთხარი ექსპერტიზას ჩავიტარებ და დაიჭირეთ ... მივდიოდი პოლიციაში და ვითხოვდი ექსპერტიზას. არ გამიკეთეს. არადა არ აქვთ უფლება 3 დღეზე მეტ ხანს დააკავონ ისე და რა მექნა. მერე ისევ გრძელდებოდა ძალადობა, მერე დავრეკე ცხელ ხაზზე და ვუთხარი ბოლო-ბოლო დამეხმარეთ თორემ ან მე მოვკლავ ან თვითონ მომკლავს და პოლიცია არაფერს არ აკეთებს თქო. მათ მითხრეს პოლიცია დაგვალაპარაკეო.”

კვლევამ გამოავლინა არაერთი შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავთა მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობას მოძალადესთან ნაცნობობის, ნათესაობის თუ მეგობრობის შემთხვევების დროს:

„უბნის ინსპექტორი ჩემი ქმრის ოჯახის ახლობელია, ამიტომ პატრული გამოვიძახე, მაგრამ მაინც ინსპექტორი გამოუშვეს.. ორდერი გამოიწერა, მე რომ ვთხოვე მომეცი ორდერიო, მითხრა ინსპექტორმა არ მოგცემ და ფეხებს ვერ დამაჭამო. ბოლოს საშინელ დღეში მნახა ამან. ყველანაირად დაშავებული ვიყავი... მხოლოდ გაფრთხილება მისცა. მე მომაწერინა ხელი, რომ უარს ვაცხადებდი და ციხეში არ ჩასვამდნენ. მემუქრებოდნენ ერთი გამომძიებლით რომ შვილს წამართმევდნენ. სამართალდამცავებმა ვერ დამიცვეს ვერც მაშინ და ვერც მერე - პრევენციის კუთხით.”

რეაგირების მნიშვნელოვან ხარვეზად დაფიქსირდა გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების პირობების შესრულების სისტემური მონიტორინგი. როგორც სამართალდამცავებმა განაცხადეს, ოჯახს, სადაც დაფიქსირდა ძალადობის შემთხვევა ან გამოძახება, კურატორობას უწევს უბნის ინსპექტორი, თუმცა ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცედურა არ არის დოკუმენტურად გაწერილი და მხოლოდ სამართალდამცავის პირად ინიციატივაზეა დამოკიდებული, რაც იმთავითვე ქმნის შეცდომების დაშვების შესაძლებლობას.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა, სამართალდამცავ სტრუქტურებში ფიზიკური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, რაც ზღუდავს მათი მხრიდან სრულფასოვანი რეაგირების შესაძლებლობას ოჯახში ძალადობის დროს. კერძოდ, როგორც სხვადასხვა რეგიონის სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები აღნიშნავენ, თითო საპატრულო ეკიპაჟს, რომელშიც 2 თანამშრომელი შედის, ევალება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე (რამდენიმე კვადრატზე) უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა დაცვის უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, როდესაც შეტყობინება შედის რომელიმე „კვადრატზე” ოჯახში ძალადობის შესაძლო შემთხვევის შესახებ, ისინი დაუყოვნებლივ გადიან ადგილზე. თუმცა, ვინაიდან ოჯახში ძალადობის ფენომენიდან გამომდინარე ხშირად მათ იქ ხანგრძლივი და ინტენსიური სამუშაოს ჩატარება

უწევთ (გასაუბრება მსხვერპლთან, მოძალადესთან, მეზობლებთან, ოჯახის წევრებთან, კონფლიქტის ესკალაციის პრევენცია ადგილზე ა.შ.) მათი საპატრულო ტერიტორია მეთვალყურეობის გარეშე რჩება, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის უსაფრთხოებას.

ღამის საათებში ორდერის გამოწერა ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ორდერის მოქმედების ფარგლებში, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მოძალადის მსხვერპლისგან დაშორება გართულებულია. როდესაც მოძალადეს არ აქვს სხვა საცხოვრებელი ადგილი, მისი მსხვერპლისგან განცალკევება გულისხმობს მის დატოვებას მთელი ღამით ქუჩაში, რამაც შესაძლებელია მოახდინოს სხვა დანაშაულებრივი ქმედების პროვოცირება, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოძალადე იმყოფება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ (რასაც ხშირად აქვს ადგილი ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს). ასევე შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას მოძალადის ჯანმრთელობას წელიწადის ცივ დროს მის უმეთვალყურეოდ ღამის განმავლობაში გარეთ ყოფნის პერიოდში.

სამართალდამცავების გადმოცემით, რამდენიმე წლის წინ პოლიციის შენობებში ორგანიზებული იყო ე.წ. გამოსაფხიზლებელი ოთახები, რაც საუკეთესო გამოსავალი იყო ასეთ ვითარებაში. დღესდღეობით ასეთი ინფრასტრუქტურის არ ქონის გამო, ან მსხვერპლები ამბობენ უარს მოძალადის გარეთ დატოვებაზე ღამის განმავლობაში ან სამართალდამცავებს იმპროვიზებულად უწევთ საკითხის მოგვარება, რაც უკიდურესად ართულებს მათ მუშაობას და ქმნის მოტივაციას თავი შეიკავონ ღამის საათებში შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოწერისაგან, როგორც პოლიციელები აღნიშნავენ:

„პატრული დადის მაინც, წარმოიდგინე მე მთელი ღამე კაბინეტში მეჯდა, პოლიციის უფროსი ვარ. და მთვრალს ვუსმენდი, სად წამეყვანა. გამოსაფხიზლებელი აღარ არის როგორც ადრე და აბა როგორ მოვიქცე"

საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლები აფიქსირებდნენ, რომ ისინი სახელმწიფოს დახმარებას იქამდე არ სთხოვდნენ, სანამ მდგომარეობა უკიდურესად არ გართულდებოდა და სამართალდამცავების ჩარევა მათთვის სიცოცხლის გადარჩენისა და ჯანმრთელობის დაზიანებისგან დაცვის ერთადერთი გზა არ აღმოჩნდებოდა. ამ კონდიციამდე მისვლას ხშირად ხელს უწყობს ნათესავებისა და ოჯახის წევრების გარემო, რომლებიც ზეწოლას ახდენენ მსხვერპლის თავისუფალ ნებაზე.

„მეზობლები ხედავდნენ ძალადობას და არ დაურეკიათ, ბიძაშვილობაა მანდ (ტრადიცია). მე მამამთილისგან დამწყდა გული. იმ მომენტში ისე გამომიყვანეს რომ მე ვიყავი დამნაშავე და მათი შვილი იყო კარგი";
„ბოლოს უკვე იმ ზომამდე ვიყავი, რომ უკვე ვითხოვდი შველას, ვყვიროდი, მიშველეთ მეთქი, როცა იყო კარი ჩაკეტილი. ჩემთვის უკვე სულერთი იყო, რა დაემართებოდა ამ ადამიანს, მთავარი იყო ვიღაცას ჩემთვის ეშველა. მეზობლებს ესმოდათ, მარა არავინ არ ურეკავდა პატრულს."

მსხვერპლები აღნიშნავენ რომ მათი უკიდურესად გახანგრძლივებული თმენის და

პასიურობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მათი სოციალური გარემო და ზოგ შემთხვევაში, რელიგიური პირები იყვნენ:

„...რამდენჯერ ვიყავი დაშორებული... წამოსული... რამდენჯერ შემარიგეს. ეკლესიით, ხან იმით, ხან ამით. მამაოები ჩაერივნენ, ვინ არ ჩაერია."

მსხვერპლის პასიური მდგომარეება

სამართალდამცავები ოჯახში ძალადობის ფაქტების გამწვავებისა და გახანგრძლივების ერთ-ერთ მიზეზად მსხვერპლთა პასიურობას ასახელებენ, რომელიც ძალადობის ფაქტის შესახებ შეუტყობინებლობაში, ან უკვე განხორციელებული ზარის გაუქმებასა და მოვლენის უარყოფაში გამოიხატება. მათი გადმოცემით, დღის განმავლობაში მრავალი ზარი, შეტყობინება შემოდის ოჯახში ძალადობის თემაზე, თუმცა ადგილზე გასულ პოლიციელებს ხვდებათ ქალი, რომელიც სრულიად უარყოფს მოვლენას და, როგორც წესი, აცხადებს რომ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ან ამბობს, რომ მხოლოდ მოძალადის „შესაშინებლად" ესაჭიროებოდა პატრულის ადგილზე გამოცხადება.

როგორც პოლიციელთა უმრავლესობა აცხადებს, მსგავს შემთხვევაში ისინი აღარ უღრმავდებიან მსხვერპლის უარის მიზეზებს და ტოვებენ გამოძახების ადგილს. ვინაიდან, მათი განცხადებით „..ჩვენ მიზეზებს არ ვიკვლევთ.. ჩვენ ვიკვლევთ შედეგს..". თუმცა, კვლევამ გამოავლინა ამ მიდგომის მნიშვნელოვანი ხარვეზი. როგორც მსხვერპლები პოსტ-ფაქტუმ, ძალადობის სტრესიდან მცირეოდენი დროის შემდეგ აცნობიერებენ, უშუალოდ ძალადობის მომენტში მათი თავისუფალი ნება ხშირად პარალიზებულია. ისინი იმყოფებენ მრავალი ფაქტორის ზემოქმედების ქვეშ და ვერ იღებენ გადაწყვეტილებას (პოლიციისთვის შეტყობინების შესახებ) თავისი ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, იმ მომენტში განიცდიან ძალადობისგან გამოწვეულ ფიზიოლოგიური „გაშეშების"[20] რეაქციას. ნათესავების ზეწოლის, საზოგადოების რეაგირების თუ მოძალადის შიშის გამო, ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი პოზიციის ბოლომდე დაფიქსირებას, რასაც მოგვიანებით ნანობენ და შედეგებსაც საკუთარ ჯანმრთელობაზე იღებენ:

„ჩემმა დამ გამომიძახა პატრული, როცა მოვიდა და მნახა დასისხლიანებული, ნაცემი, არ უშვებდა და როცა მნახა ეგეთ მდგომარეობაში, ჩემ დაზეც იწევდა საცემრად .. მე მაშინაც უარვყავი, როდესაც პატრული ჩემმა დამ გამოიძახა".

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავის მიერ მსხვერპლისათვის გამოკითხვის სპეციალური გარემოს შექმნა, რომელიც მსხვერპლს დაეხმარება დამშვიდდეს და გამბედაობა მოიკრიბოს. საჭიროა სამართალდამცავებმა იცოდნენ ძალადობის მსხვერპლის ინტერვიუირების ტექნიკა და ჰქონდეთ საკმარისი დრო, მსხვერპლის ნდობის მოსაპოვებლად.

მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება ასევე რეაგირების ჯგუფში ქალი პატრული/ინსპექტორის ყოფნას, რომელიც, სამართალდამცველთა გადმოცე-

20 Freezing, imobility - http://www.aic.gov.au/media_library/publications/proceedings/20/galliano.pdf

მით ბევრად ადვილად ახერხებს მსხვერპლებთან კომუნიკაციის დაწყებას და მგრძნობიარეა მათი მოთხოვნებისადმი. ამ მხრივ, პოზიტიურ პრაქტიკად კვლავ აჭარის რეგიონი უნდა გამოვყოთ, სადაც ფიქსირდება ქალი პატრულების (შერეული რეაგირების ჯგუფი) საკმაოდ ეფექტური მუშაობა. სამართალდამცავთა აზრით, ქალ პოლიციელთან გაცილებით იოლად ახერხებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალი კომუნიკაციის დამყარებას. არის საკითხები, რომლის შესახებაც მეტი ალბათობით მსხვერპლი ინფორმაციას არ მიაწვდის კაც პატრულს, თუმცა ქალ პატრულებთან ამ თემებზე საუბარი უფრო შესაძლებლად მიაჩნიათ (მაგ. სექსუალური ძალადობის თემატიკა). აღნიშნული ასევე დაადასტურა მსხვერპლებთან გასაუბრებამაც.

მსხვერპლების გადმოცემით, პოლიციაში შეუტყობინებლობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს შვილის დაკარგვის (წართმევის) შიში, ბავშვით მანიპულირება - რომელსაც ხშირად იყენებენ მოძალადის ოჯახის წევრები. მსხვერპლებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია და რწმენა, რომ კანონმდებლობა იქნება სამართლიანი მათ მიმართ:

„საერთოდ არ მიფიქრია პოლიციის გამოძახებაზე, იმიტომ რომ მეუბნებოდა ჩემი დედამთილი, რომ ბავშვს წამართმევდნენ. მე არ მქონდა სახლ-კარი და ჩამომართმევდნენ მეურვეობას, შემოუთვლიათ ხოლმე რომ მოგვეცი ბავშვი და შენ წადი. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და მართლა მეშინოდა არ წაერთმიათ ბავშვი. მე არ მქონდა საშუალება ბავშვი აღმეზარდა კარგ პირობებში ამას შეამოწმებდნენ და თან მქონდა გაგებული რომ ბავშვი წაართვეს ქალს ესე და მე ძალიან მეშინოდა. იმ დროს არავის ვენდობოდი".

მოსამართლეები ადასტურებენ, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებში აქტუალურია მხარეების მიერ ბავშვით მანიპულირების საკითხი, რა დროსაც, არასრულწლოვანზე ემოციური ძალადობის შედეგად ის რომელიმე მხარის პოზიციას ახმოვანებს. მოსამართლეების მოსაზრების თანახმად, მნიშვნელოვანია ამ დროს მაქსიმალურად იქნას დაცული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რომელიც განსაზღვრული უნდა იყოს როგორც ძალადობის გარემოების ისე ზოგადად, მისი ხანგრძლივი ინტერესის გათვალისწინებით.

მსხვერპლთა განმარტებით, მათი და მათი შვილების უსაფრთხოებას ექმნება განმეორებითი და შესაძლოა, ინტენსიობით უფრო მაღალი ხარისხის საფრთხე, როდესაც მათ, რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო კონფლიქტურ სიტუაციაში დაბრუნება უწევთ, რადგან, თავშესაფარში ყოფნის ვადის ამოწურვის გამო მათ არჩევანი უბრალოდ აღარ აქვთ. ანალოგიური ვითარებაა, როდესაც სწორედ აღნიშნული მიზეზით, ისინი უარს ამბობენ გაერიდონ ძალადობრივ გარემოს და მოძალადესთან სახლში რჩებიან.

„... მართლა მოვკლავდი რომ გაგრძელებულიყო ესე... ჩემნაირი ქალები ძალიან დასახმარებლები არიან. სოციალური მდგომარეობა ძალიან ცუდად გვაქვს. უნდა არსებობდეს ესეთი დახმარება რომ ქირა მაინც გადაგვიხადონ. ეხლა მე ვფიქრობ ნეტა არ გამიხდეს ჩემ ქმართან დაბრუნების აუცილებლობა, იმიტომ რომ ბავშებს

ქუჩაში ხომ ვერ დავტოვებ, ფაქტიურად ძალადობრივ გარემოში შეიძლება მომიწიოს დაბრუნება...“

პრევენციის ღონისძიებების განხორციელება

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობის პრევენცია არის ყველაზე აქტუალური, მწვავე და მოუგვარებელი პრობლემა. აღნიშნულ თემაზე შეთანხმებული პოზიცია აქვთ როგორც მსხვერპლებს, ასევე სამართალდამცავებს.

კვლევაში მონაწილეები ოჯახში ძალადობის პრევენციაზე საუბრობდნენ როგორც, უტოპიური აზრებით გამსჭვალულ ზოგად თემაზე. კერძოდ, მათი განცხადებით ოჯახში ძალადობის პრევენცია ზოგადად საქართველოში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად შეიძლება მოხდეს. ამის საპირისპიროდ, როგორც კვლევამ გამოავლინა, ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები შესაძლებელია იყოს მიზნობრივ ჯგუფზე ორიენტირებული, კონკრეტული და გაზომვადი.

კვლევის მონაწილეებმა წარმოაჩინეს ოჯახში ძალადობის კონკრეტული რისკ ჯგუფები, რომელთა შესახებაც სახელმწიფოს ინფორმაცია ფაქტობრივად უკვე აქვს (თუმცა საჭიროა ამ ინფორმაციის დაზუსტება და ყოველწლიური განახლება). როგორც ერთ-ერთი მსხვერპლი აღნიშნავს, მოძალადის მახასიათებელს მისთვის წარმოადგენდა შეიარაღებულ კონფლიქტში საომარი მოქმედებების განხორციელების გამოცდილება, რის შემდეგაც ამ ადამიანის ქცევა და ფსიქოლოგიური მდგომარეობა ითხოვდა რეაბილიტაცია/კორექციას. ამ უკანასკნელის განუხორციელებლობასთან კი მსხვერპლი აკავშირებს ძალადობრივ ქცევას:

„მეუბნებიან, რომ ნაომარია, აფხაზეთის ომში იყო, ერაყში ნამყოფია. შეიძლება, აქედან დარჩენილი აქვს რაღაც [ტრავმა].“

პოსტ-კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით სამართალდამცავები აღნიშნავენ, რომ ოჯახში კონფლიქტების თემა შესაძლოა დაკავშირებული იყოს იმ ფაქტთან, რომ:

„უამრავი გაუბედურებული ხალხია აქეთ მხარეს, გაჭირვებაა, აქეთ სახლები დაუწვეს, იქით საფლავებს ვეღარ ნახულობენ, ნერვიულობენ და ამის ნიადაგზე რა თქმა უნდა იზრდება გარკვეულწილად ფონი, ახლა ის რომ გაჭირვება მეტია იმის მერე - ეს თავისთავად. “

პრევენციის კონკრეტული ღონისძიებების არარსებობაზე მსჯელობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძალადობის ციკლში დგება განსაკუთრებული მომენტი, როდესაც მსხვერპლი ინფორმირებულია და ელის მის მიმართ ძალადობის განხორციელებას, მაგრამ ამას ვერ ამტკიცებს. შესაბამისად, იმყოფება განსაკუთრებულად დიდი ემოციური სტრესის მდგომარეობაში, სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევაში ჯერ კიდევ არ არსებობს სახელმწიფოს მიერ ეფექტური დაცვის მექანიზმი:

„მსხვერპლი ელოდება ძალადობას, იცის რომ აი, ახლა, რაღაცა მოხდება. მაგრამ ამ დროს მას დაცვის საშუალება არ აქვს. ანუ თუ კრიტიკული სიტუაცია არაა, თუ არ არის უშუალოდ ძალადობის

ინციდენტი მას [სახელმწიფოს მხრიდან] ჩარევის საშუალება არ აქვს და ამ დროს ის არის მოლოდინის მდგომარეობაში, ის ძალადობას ელოდება, რადგან სხვა შემთხვევაში ვერ მტკიცდება ძალადობა“.

თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ მნიშვნელოვანია ძალადობის აღმოფხვრის მიზნით სოციალური და ფსიქო-სარეაბილიტაციო სერვისების დანერგვა კომპლექსურად მოხდეს. აუცილებელია პრევენციული მექანიზმების რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურაზე გადანაწილება, რადგან ოჯახში ძალადობის მსხვერპლს ერთდროულად მრავალი საჭიროება აქვს, როგორიც არის უსაფრთხოების დაცვის, საცხოვრებლით, საკვებით, სამოსით, სამედიცინო და სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფის საკითხი და ამავდროულად აუცილებელია ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხა შემდეგნაირად განმარტავენ:

„როცა მოთხოვნილებები ძალიან დეპრივირებულია [დაუკმაყოფილებელი] და ფსიქოლოგი ამას ნამდვილად ვერ ჩაგინაცვლებს. იმიტომ, რომ მე რომ ხვალინდელი დღის იმედი არა მაქვს, როცა ერთი ადგილიდან [თავშესაფრიდან] ისევ ჯოჯოხეთში უნდა დაბრუნდე ამის მოსამზადებლად ფსიქოლოგი ფაქტობრივად წყალში ჩაყრილი რესურსია, ვერანაირი სერვის ცენტრი მას ვერ დაეხმარება თუ მისი უსაფრთხოება ხანგრძლივი პერსპექტივით არ არის უზრუნველყოფილი“.

დასკვნა

კვლევის შედეგებმა მრავალი სისტემური თუ ფაქტობრივი ხარვეზი წარმოაჩინა. სწორედ ეს ხარვეზები პასუხობს შეკითხვებს, თუ რატომ გამოიყურება კანონმდებლობა ასე კარგად და რატომ ვერ ხორციელდება მსხვერპლთა დაცვა რეალობაში. პრობლემები იმდენად სიღრმისეულია, რომ მათ მოგვარებას დრო სჭირდება, თუმცა აუცილებელია მათი მხედველობაში მიღება, იმისათვის, რომ სამომავლოდ უფრო გაძლიერდეს პრევენციული ღონისძიებები და ამასთან საკანონმდებლო ბაზაც გახდეს მოქნილი, რათა სამართალდამცავებსა თუ სხვა დაინტერესებულ სტრუქტურებს გაუადვილდეთ ძალადობის ფაქტებზე რეაგირება.

ძირითადი მიგნებებიდან შეიძლება გამოიყოს ოჯახში ძალადობის შემთხვევების სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხი: ნათელია, რომ სამართალდამცავებისთვის პრობლემას წარმოადგენს ფაქტისათვის სისხლის სამართლის საქმის კვალიფიკაციის მინიჭება, აუცილებელია განისაზღვროს ზუსტი დეფინიცია, რაც მათ სუბიექტურ გადაწყვეტილებებისგან იხსნის და ერთიანი ინსტრუქციის სახით იქნება წარმოდგენილი ყველასთვის.

ასევე მნიშვნელოვანია ფაქტებზე რეაგირების შემდგომი მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა, რაც საშუალებას მისცემს შესაბამის სტრუქტურებს მეთვალყურეობა გაუწიონ ოჯახებს, სადაც ძალადობის ფაქტი დაფიქსირდა და ამასთან შექმნის საინფორმაციო ბაზას, რომელიც სამომავლოდ ძალიან მნიშ-

ვნელოვან ინფორმაციას მოგვაწვდის პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად. ამასთან, მსხვერპლთა უსაფრთხოება მონიტორინგის პირობებში გაცილებით უკეთ იქნება დაცული და ამით რეციდივის შესაძლებლობა საგრძნობლად დაიკლებს.

საქართველოს სახალხო დამცველს თავის წინადადებებსა თუ ანგარიშებში არაერთხელ ჰქონდა საუბარი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების დროს ქალი პოლიციელების ჩართულობასთან დაკავშირებით. ზემოთ მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქალების ჩართულობა ასეთი შემთხვევების დროს შემთხვევის უკეთ მართვის პერსპექტივას საგრძნობლად ზრდის.

ასევე არაერთხელ იქნა აღნიშნული მსხვერპლთა და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების გაუმჯობესების საკითხი. ის, რომ ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები დახვეწას საჭიროებენ ნათელი ხდება ყველა შეხებისას, სადაც კი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვაზეა საუბარი. მსხვერპლის დაცვა მისი პირველადი საჭიროებებით უზრუნველყოფასა და ფსიქოლოგიურ დახმარებასთან პირდაპირ კავშირშია, მათი გაძლიერების გარეშე კი ვერც ერთი ღონისძიება ვერ იქნება ხანგრძლივი ეფექტის მქონე.

და ბოლოს, მიუხედავად საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ დონეზე გასატარებელი თუ გატარებული რეფორმებისა, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. ყველა ეტაპზე ვაწყდებით ბარიერს, რომ საზოგადოება მკაცრად განსჯის თითოეულ ქალს, რომელიც თავის დაცვას ცდილობს მოძალადისგან და როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ზოგჯერ მათ მკვლელობასაც კი ამართლებს, როდესაც საქმე კაცის ღირსებას შეეხება. საზოგადოება, მეზობლები, ახლობლები, ნათესავები არიან ის პირები, რომლებმაც ყველაზე უკეთ იციან თუ რა ხდება მათი ახლობლების ოჯახში და მათი გულგრილი დამოკიდებულება ხშირად აზიანებს ვითარებას. აუცილებელია თითოეულ მოქალაქემდე იქნას მიტანილი აზრი, რომ მათ დაფარვის ნაცვლად დახმარება შეუძლიათ და შესაძლოა სიცოცხლის გადარჩენაც კი შეძლონ, თუ დროულად გაუწვდიან ერთმანეთს დახმარების ხელს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას

- განხორციელდეს ერთიანი სტატისტიკის წარმოება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- უზრუნველყოფილი იქნას ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შესახებ დეტალური სტატისტიკური მონაცემების წარმოება
- გაძლიერდეს მუშაობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით და სამართალდამცავ ორგანოებს დაევალოთ ინფორმაციის გავრცელება ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოძახების დროს, არსებული კანონით გათვალისწინებული დამცავი მექანიზმებისა თუ სერვისების შესახებ
- შეიქმნას სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი გენდერული ნიშნით ჩადენილ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე რეაგირებაზე

- დაინერგოს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების შემდგომი მონიტორინგის მექანიზმი, სადაც გაწერილი იქნება კონკრეტული ინსტრუქცია, რათა შემცირდეს ძალადობის განმეორების რისკი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, მოხდეს ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული სოციალური მუშაკების მომზადება, მათი სათანადო პირობებითა და უფლებამოსილებებით აღჭურვა
- გადაიხედოს და გაძლიერდეს თავშესაფრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები, ეთხოვოს საპატრულო პოლიციასა თუ უბნის ინსპექტორს არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ მსხვერპლთათვის შემთხვევის ადგილზე ინფორმაციის მიწოდება
- უზრუნველყოფილი იქნას სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირებისა და შეტყობინების ვალდებულების განსახორციელებლად.